ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 63

1877—1905

№ 63

პარასკევი, 29 აპრილი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверіа“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პარასკევი, 29 აპრილი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილიდან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: **Тифлисъ, Редакція газ. „Иверіа“.**

სამედიატორო სასამართლო,

შემდგარი გორის მაზრაში მდებარე მამულის „საფალავანდოს“ გასაყოფად მონაწილეთა შორის, ამით იწვევს სამედიატორო ხელშეკრულობაზე ხელის მომწერთ, გამოცხადდნენ 1905 ს. 27 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე, დეპუტატთა საკრებულოში (ქ. ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, № 10) სამედიატორო განაჩენის მოსასმენად.

(3—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

შ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა $12^1/_2$ $1^1/_2$ საათ.

ხ. ხ. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ხ. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აპეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ვ. ა. თარხანოვი—1—$1^1/_2$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—$1^1/_2$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

ირჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. **გძელიშვილი**.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. №) 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ვინ „აბნელებს“?

არის ზოგიერთი ისეთი სამეცნიერო „ტეზისი“, რომელიც სხარტულად გამოთქმულია და ამიტომ ყველას ადვილად ამახსოვრდება. განსაკუთრებით თუ ამგვარი ტეზისი ბრძოლის იარაღსაც წარმოადგენს, მებრძოლი მას ყოველთვის პირს უშინჯავს, მის სიმახვილესა და მჭრელობას დიდად აფასებს და, რასაკვირველია, ადვილად არავის დაანებებს. ამ იარაღის ასეთს პრაქტიკულს მნიშვნელობას განსაზღვრული გავლენა აქვს თვით მებრძოლის სულიერ მდგომარეობასა და გრძნობათა მიდრეკილებაზე. როგორც ომში თითოეული მხარე ყველაზე უფრო უფრთხილდება ზარბაზნებს და ჰგონია, რომ მოწინააღმდეგე მუდამ ამ ზარბაზნებს უმიზნებს და უშენს ყუმბარებს, ისევე იდეურ იარაღის დამჭერს ხშირად მოეჩვენება ხოლმე, რომ მოკამათე და იდეითვე მებრძოლი მას იარაღს უჩლუნგებს ან სრულიად ხელიდან სტაცებს...

ამიტომ ადვილი გასაგებია ფსიხოლოგია ზოგიერთ ჩვენებურ „დასელისა“, რომელიც, ვარსკვლავებზედაც რომ ლაპარაკი დაუწყოთ, მაშინვე „კლასობრივ ბრძოლის“ ტეზისს გაიხსენებს და, თუ რაიმე გაუგებრობის მიზეზით, აზრში ვერ დაეთანხმა, იმ წამსვე ხსენებულ ტეზისის უარყოფასა ან ღალატს დაგწამებს და „ბურჟუაზიის იდეოლოგის“ სახელით მოგნათლავს. რახან ეს ორი სიტყვა დაიზეპირა, გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ მოპირდაპირე დაამარცხა და მისი აზრები უკვალოდ გააქარწყლა.

ამ ჩვენი მოსაზრების სიმართლეში დარწმუნდებით, თუ გაიხსენებთ ავტონომიის წინააღმდეგ ზოგიერთ „დასელის“ ბრძოლასა და „მოღვაწეობას“. ყველას, ვინც ავტონომიის მოთხოვნას მხარს უჭერს და სრულს თვით-მართველობას თხოულობს საქართველოსთვის, «ბურჟუაზიულ იდეოლოგს» ეძახიან, რომელსაც თურმე გადაფუჩეჩება და დაბნელება სწადია ერში არსებულ კლასობრივ განხეთქილების და ბრძოლისა. ავტონომიის მოთხოვნა ქართველ „ნაციონალისტების მოჩმახული ხერხია“, რომელიც თურმე მუშა-ხალხის მოსატყუებლად არის გამოგონილი, იმ მუშა-ხალხისა, რომელიც კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე სდგას, ამისათვის უერთდება ყველგან თავისსავე მსგავსს მუშა-ხალხს და ომს უცხადებს ბურჟუაზიულ საზოგადოებას. ყოველ „ავტონომისტს“ უნდა თურმე გაუმთელებელის გამთელება, ეკონომიურ წინააღმდეგობის დაფარვა და განსხვავებულ კლასობრივ ინტერესების გადაფუჩეჩება.

საიდან სჩანს ასეთი სურვილიო?—იკითხავს ვინმე. თურმე იქიდან სჩანს, რომ ავტონომიური მართველობა ჩვენ მთელის ქართველ ერისათვის და, მაშასადამე, ქართველ მუშა-ხალხისათვისაც საჭიროდ და სასარგებლოდ მიგვაჩნია. ხოლო ვინც ერზე ლაპარაკობს, ის, ზოგიერთ „დასელის“ აზრით, „მეავე პატრიოტია“ და ღრმა სოციალურ საკითხებისა არა გაეგება-რა.

ეს ხომ ასეა, მკითხველო, მაგრამ წარმოიდგინეთ,—„დასელთა“ ბრალდება არ მართლდება და კლასობრივ ბრძოლის პრინციპის „დამბნელებელნი“ გამოდიან... იცით ვინ? თვითონ ისინი, რომელთაც ყოველთვის ეს „ბრძოლა“ აკერიათ ენაზე და ამ პრინციპის ღალატს სხვებს ახვევენ თავზე. იქნება გაგიკვირდეთ, მაგრამ ნამდვილად კი ეს უცნაური გარემოება, სწორედ ავტონომიის უარყოფის გამო, ცხადი და ნათელი არის.

თვითონ ისინი ამბობენ და საქვეოდ არ მიაჩნიათ, რომ რუსეთის მომავალი პარლამენტი ბურჟუაზიული იქნება. თვითონვე აღიარებენ, რომ გაბატონებული ბურჟუაზია ავიწროვებს და ცხოვრებას უჭირვებს დამოკიდებულ ეროვნებას. ამგვარად თვითონვე სცნობენ, ცენტრალისტურად „განახლებულ“ რუსეთშიაც იქნებაო დამოკიდებულ ერთა დევნა და შევიწროება.

რა შედეგი გამოდის აქედან? ისა, რომ ასეთ გარემოებაში ყოველთვის ექნება ნიადაგი იმგვარ „პატრიოტობას“, რომელიც მშრომელ ხალხის ექსპლოატაციითა და დაბეჩავებით სუნთქას. არა ერთი და ორი ფეოდალი პატრიოტობს დღეს და ჰქადაგებს, რომ მის წინააღმდეგ მშრომელი არ უნდა წავიდეს, რადგან დღეს ქართველს ენა და და საერთოდ ეროვნული კულტურა აქვს დასაცავი ბიუროკრატიულ რეჟიმით შექმნილ ძალმომრეობისაგან. ასეთი „პატრიოტი“ ჰქადაგებს ჰარმონიას, მშრომელ ხალხის მხრით ეკონომიურ ინტერესების დათმობას და ყმობაზე აგებულ „ნაციონალიზმით“ გატაცებას. ვერავინ ჰყოფს უარს, რომ დღეს ამგვარ ქადაგებას, რამოდენიმედ მაინც, ნიადაგი აქვს, თუმცა იგი მუშა-ხალხისთვის ხელსაყრელი და სასარგებლო არაა. ნიადაგი აქვს იმიტომ, რომ ეროვნული დევნა და შევიწროვება მოსპობილი არაა. ასეთივე ნიადაგი ექნება ამგვარ აზრებს მაშინაც, როცა საქართველო ბურჟუაზიულ კანონმდებლობის ფარგალში იქნება შეჩხირული, რადგან, შეგვიძლია ვიფიქროთ, ეს კანონმდებლობა უკეთეს მდგომარეობაში არ ჩააყენებს ქართველ ერს, ვიდრე არიან, მაგალითად, პოლონელები გერმანიასა ან ავსტრიაში.

ეროვნული ავტონომია-კი სრულიად სპობს ამ ნიადაგს, რადგან იგი სპობს ეროვნულ დაბეჩავებას და ერს აძლევს თავის ძალ-ღონის თავისუფალ განვითარების შეძლებას. მხოლოდ ასეთ პოლიტიკურ მდგომარეობაში არის შესაძლებელი, რომ კლასობრივი ბრძოლის პრინციპი არ დაბნელდეს და კლასობრივი მოძრაობა ბარაქიანსა და სწორე გზას დაადგეს. ეს პრინციპი სწორედ აქ პოულობს სრულს თავის გამოხატულებას და ამიტომ ავტონომიის მომხრე არა თუ ბრძოლის გადამფუჩეჩებელ პირობებს უქმნის ხალხს, არამედ სწორე და შეურყეველ მიმდინარეობის კალაპოტში აყენებს კლასობრივ ბრძოლას...

* * *

რუსული მწერლობა და ეროვნული საკითხი

ერთ მძიმე ავადმყოფთან მიიწვიეს სამი გამოჩენილი ექიმი. იმათაც შეამოწმეს სნეული და მოსალაპარაკებლად ცალკე ოთახში წავიდნენ. იქ რაღაც სამეცნიერო კამათი დაიწყეს და ამ კამათში სრულებით დაივიწყეს, რომ მეორე ოთახში ამასობაში კვდებოდა ადამიანი... ბოლოს ერთმა მათგანმა შენიშნა:

„ჩვენ აქ ვკამათობთ და აგერ, იმ ოთახში იტანჯება სნეული. ჩვენი მოვალეობაა შევამსუბუქოთ სნეულის მდგომარეობა!“

ასეთი ამბავი ახლა ემართება რუსეთის საზოგადოებასაც. ყველა ლაპარაკობს, ცხარობს, კამათობს, ამ კამათში დრო გადის და ეგონება ადამიანს, რომ საზოგადოება განგებ ცდილობს გააგრძელოს ეს ლაპარაკი და მხოლოდ ეს ლაპარაკი იკმაროს.

ასე ჰგონიათ, რომ თავის-თავად გარიგდება საქმე, თავის-თავად შეიცვლება თანამედროვე ცხოვრება.

ასე ჰგონიათ, რომ მხოლოდ კამათით შეიძლება მომავლის შექმნა...

ცხოვრება არ უყურებს მათ კამათს და საშინელის სისწრაფით მიექანება. ამ დროს ყოველი საზოგადო მოღვაწე ეცდებულია ისეთ პირობებში ჩააყენოს ცხოვრების განვითარება, რომ გაადვილდეს მწვავე კითხვების გადაწყვეტა შემდეგში...

ამნაირი მწვავე კითხვა ამჟამად რუსეთში ეროვნული კითხვაა. რუსებს ეროვნული კითხვის უბრალო ხსენებაც აშინებს, თითქო გაურბიან ამ საქმის შესახებ აზრის გარკვეულად გამოთქმას.

სხვადასხვა ეროვნებამ გამოსთქვა თავისი მოთხოვნილება, და მაინც დღემდის ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, თუ რა გზას უნდა დაადგნენ ამ საკითხის გადაწყვეტის საქმეში რუსები.

მხოლოდ ზოგიერთი აცხადებს:

„საჭიროა რუსეთში ახალ წესწყობილების შემოღება, ხოლო ამ შემოღებაში, დამფუძნებელ კრებაში მხოლოდ რუსებს უნდა ჰქონდეთ მონაწილეობა, რუსებმა უნდა შეიმუშავონ ძირითადი კანონები არა-რუსთათვის.

რატომ?

— იმიტომ, რომ რუსეთი ეკუთვნის რუსებსო...

— იმიტომაო, რომ გვეშინიან არა-რუსებისა...

დიდი ხანია ეშინიანთ,—ამბობენ,—არა-რუსები თავზე წამოგვესხდებიანო, არა-რუსები გაბატონდებიანო რუსეთში...

ეშინიანთ, ვერ ენდობიან და მათი ხელით კი უნდათ მოიპოვონ თავისუფლება...

სასაცილოა!

უნდათ თავისუფლება თავისთვის და არ ემეტებათ არა-რუსთათვის...

უნდათ, რომ შერჩეს პოლიციელებს ახლანდელი უფლება, მხოლოდ ეს უფლება პოლიციელებმა უნდა გამოიჩინონ არა-რუსებზე, რუსთან ხელი არ უნდა ჰქონდეს არავის...

უნდათ ერთ ტაფა'ში ჩაყარონ, ერთად შეაზავონ თავისუფლება და მონობა.

ივიწყებენ, რომ ამის შესრულება არ არის შესაძლო! ივიწყებენ, რომ არა-რუსთათვის მონობის შექმნით თვითონაც ვერ აშორდებიან მონობას.

საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს ვისიმე შევიწროვება ძირს გაუთხრის თავისუფლებას...

(ს. ო.).

* * *

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

27 აპრილი

სტამბოლი, 27 აპრილი. იემენში საქმეთა მდგომარეობა უცხოეთის გაზეთების მიერ გაზვიადებულია. მთავრობა სავმარისად ცნობს მხოლოდ 34 ბატალიონის მობილიზაციას.

მორშანსკი, 27 აპრილი. საბჭოს იმ გადაწყვეტილებით, რომლის ძალითაც უქმეებში დასვენების საკითხის განხილვა კომისიას უნდა გადაეცეს, ნოქრები კმაყოფილნი არ არიან. ხმა დადის, ნოქრები გაფიცვას აპირებენო.

კანეია. კუნძულზე საქმეთა ვითარება არ გაუმჯობესებულა. სახელმწიფოთ აზრადა აქვთ საერთაშორისო ჯარი გაამლიერონ.

რომი, 27 აპრილი. პოლიტიკური წრეები მაროკოს საქმეს გადაწყვეტილად სთვლიან და საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა მეტად მიაჩნიათო.

ლოძი. მეპურეები და ქარგლები ჯერაც ვერ შეთანხმებულან. ქალაქი უპუროდაა დარჩენილი. ხმა დადის, ყასბებიც გასაფიცად ემზადებიანო. ქვის მთლელთა და მეთუნუქეთა ქარგლები გაიფიცნენ.

ბელოსტოკი, 27 აპრილი. რადგანაც მუშათა მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელიაო, ტყავის ყველა ქარხნებმა გადაწყვიტეს, წარმოება განუსაზღვრელ დრომდე შესწყვიტონ და მუშები დაითხოვონ.

კოპენჰაგენი. მეფე ედუარდმა პრინც გუსტავ-ადოლფის ქორწინებაზე დასასწრებლად მიიწვია დანიის მეფე ქრისტიანი. მეფე ქრისტიანი ლონდონში წავა იმის შემდეგ, როცა ვისბადენში წამლობას გაათავებს.

მინსკი, 27 აპრილი. ლიბავო-ვორონეჟის რკინის გზის მოსამსახურეთა წარმომადგენლების კრებამ, რომელიც ომის საჭიროებისათვის ფულს აგროვებს, გადაწყვიტა, საფრანგეთის ელჩის ხელით გაუგზავნოს 3,000 მანათი რუსის ტყვეთ იაპონიაში.

მოსკოვი, 27 აპრილი. ერთმა კაცმა, რომელმაც თავისი გვარი არ გამოაცხადა, ხალხის სწავლა-განათლებისათვის შესწირა 100,000 მანათი, თუ მოსკოვის თავად-აზნაურობა სწავლა-განათლების ფონდისათვის ხელის მოწერას გამართავსო. ტეტიათა მოტრფიალეთა ერთს ჯგუფს აზრადა აქვს პრაქტიკულად გამოსცადოს, აქვთ თუ არა გლეხებს ნიჭი წარმომადგენლობითი მართველობაში მონაწილეობის მიღებისა. გამოცდა იწყობა სერპუხოვის მაზრის, ხანტულის ოლქის გლეხებში, რომელთაც სამ მილიონ ნახევარ მანათად უყიდნიათ 3100 (?) დესეტინა მიწა, თავისის მეცადინეობით თავისი ცხოვრება კარგად და წესიერად მოუწყვიათ და ყველას წერა-კითხვა შეუსწავლია.

ოდესა, 27 აპრილი. პეტერბურგის გაზეთებში 23 აპრილის თარიღით დაბეჭდილი ოდესის დეპეშები ყოვლად სიმართლეს მოკლებულია. არც დერიბასოვის ქუჩაზე დაუჭრიათ ვინმე ხანჯლით და არც რამე იარაღის საწყობი აღმოუჩენიათ.

რიგა, 27 აპრილი. წუხელის მიტავას მიდამოებში, ტექსტელის ბამბის სართავ ფაბრიკას ვიღაცეებმა ცეცხლი წაუკიდეს, მაგრამ მუშებმა მალე გაიგეს და ჩააქრეს. ზარალი ათას მანათამდეა.

კოვნა, 27 აპრილი. რუსეთის ქალთა საურთიერთო საქველ-მოქმედო საზოგადოების საბჭო სთხოვს კოვნოს ქალაქის საბჭოს, მხარი დაუჭიროს მათ შუამდგომლობას, რომ საქალაქო და საერობო თვით-მართველობებში ქალებსაც მონაწილეობის მიღების ნება ჰქონდეთ. უკანასკნელ კრებაზე საბჭომ ხმის უმეტესობით გადაწყვიტა, მიეცეს ქალებს ნათხოვნი უფლებანიო.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

27 აპრილი.

ბერლინი, 27 აპრილი. «კრეი-ცეიტუნგ» ამტკიცებს: ის შიში, რომ ომში სხვა სახელმწიფოებსაც ჩაითრევენო, თანდათან იზრდება. საფრანგეთმა სასტიკი ნეიტრალიტეტი არ დაიცვა. იაპონიას აუნაზღაურებელი ზარალი მოუვიდა. ინგლისი გრძნობს, რომ იაპონიასთან კარგს განწყობილებას მხოლოდ მაშინ შეინარჩუნებს, თუ საქმეში ენერგიულად ჩაერევა. მართალია, იმედი აქვთ კონფლიქტი დიპლომატიურის გზით მოაწესრიგონ, მაგრამ მაინც ეშინიანთ, ევროპას ომის ცეცხლი არ მოედოს. „ბერლინერ ტაგებლატი“ იუწყება, იაპონიის ელჩი პარიზში მონოტო, 29 აპრილს, ათის დღით ჰააგაში მიდისო. გაზეთის აზრით, ეს გარემოება, ჰმოწმობს, რომ საქმე ისე გამწვავებული არ არისო.

პარიზი, 27 აპრილი. „ჰავასი“. განმარტებამა და ბალფურის ლონდონში განცხადებამ საზოგადოების აზრი დააშოშმინა. იაპონელების აღელვება მომავლის ბრძოლის გამოურკვეველ შედეგზე ფიქრმა გამოიწვია. იაპონიის ელჩის დელკასესთან დარბაზობას, რომელიც 24 აპრილს მოხდა, აზრად ცნობების მიღება ჰქონდა და არა პროტესტი. მარკიზ ბარტელემიმ განაცხადა, ჩემი ნახშირის საწყობი მარტო 700 ტონისაათ. საიგონის მახლობლად რუსებმა ნახშირის საწყობი იმ მამულზე გამართეს, რომელიც ომის დაწყებამდე შეიძინეს და რომლის შეძენასაც იაპონელები წინ არ აღუდგნენო.

ტულონი, 27 აპრილი. ზღვათა მინისტრმა ტომსონმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა: პალატაში წარდგენილ იქნა სამხედრო-საზღვაო პროგრამა და ჩვენი ძლიერი ფლოტი მშვიდობიანობას უზრუნველ ჰყოფსო. საფრანგეთი ყოველთვის ზღვაზე თავისს უპირატესობას დაიცავსო. 1870 წ. საფრანგეთში საიმპერატორო მთავრობა იყო და, თუ მომავალში გაუსწორებელი უბედურება დაგვატყდა თავს, რესპუბლიკას არავინ დააბრალოსო.

ტოკიო, 27 აპრილი (რეიტერი). სამოქალაქო მმართველობა მარტო იაპონელთაგან იმ აღებულ ოლქებში დაწესდა, რომლებიც წინად რუსების ხელში იყვნენ. ფაქტიურად დაწესებულია მარტო ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზე. ჩინელების ტერიტორია ისევ სამხედრო მმართველობას ექვემდებარება. ფორმოზას სამმართველოს პირველი მრჩეველი იშიზუკა ლიაოდუნის გუბერნატორად ინიშნება.

საიგონი, 27 აპრილი (ჰავასი). როჟესტვენსკის კრეისერები „რიონი“ და „ჟემჩუგი“ ნებოგატოვისაგან ინსტრუქციების მისაღებად, 26 აპრილს, ღამე, იაკობის კონცხთან მოვიდნენ და ნაპირიდან სამი მილის მანძილზე ღუზა ჩაუშვეს. დილით, 26 აპრილს, კოხანხინის გუბერნატორის მოთხოვნილებისამებრ ისევ ზღვაში გავიდნენ, „ჟემჩუგის“ წყლის ქვეშ-მყოფი ნაწილი, რომელიც ძლიერის ღელვის დროს გამოჩნდებოდა ხოლმე, ლოკოკინებისაგან თავისუფალია. კომანდა ჯანსაღადაა, ესკადრაზე სურსათი ბლომად აქვთ, მხოლოდ თამბაქო აკლიათ. გემი—საავადმყოფო „კოსტრომა“ ზღვაში 29 აპრილს გავა. საფიქრებელია, რომ ნებოგატოვმა იაკობის კონცხი უკვე გაიარა.

ტოკიო, 27 აპრილი. ხმა დადის, იაპონიას აზრად აქვს საზღვარ გარედ ორი ჯავშნოსანი და 6 დიდი კრეისერი შეუკვეთოსო.

ვენა, 27 აპრილი. გაზეთები იუწყებიან, ბუდაპეშტს, დეპუტატთა პალატაში, ხელის მოწერით ფულსა ჰკრებავენ, რომ ოიამას, საპატიო ხმალი მიართვანო. ხმალს მიართმევს გრაფ ევგენი ზიჩის მეთაურობით იაპონიაში საგანგებოდ წასასვლელად მომზადებული ექსპედიციაო.

პარიზი. „ტანი“ აღნიშნავს ინგლისის პრესის გაბოროტებასა და უკმეხობას საფრანგეთის ნეიტრალიტეტის შესახებ და ამბობს, ისეთ საქციელს ვერაფერი გაამართლებსო. წესები ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ საფრანგეთმა 1904 წელს თებერვალში გამოაქვეყნა და ინგლისს ამაზე ხმა არ ამოუღია. ეხლა იაპონელები აღელვებულნი არიან, იმიტომ რომ ნავთსადგურებში გაჩერებით ისარგებლეს რუსებმა და არა იაპონელებმა, როგორც ეს მათ სწადდათო. ინგლისს შორეულ აღმოსავლეთში ისეთი ინტერესები აქვს, რომ, გაზეთის აზრით, მას არ უნდა მოსწონებოდა იაპონიის ამგვარი თავგამოდება.—იტალიის მთავრობა კრიტოსში ორს სამხედრო გემსა ჰგზავნის. სერბიის მისსია უარს ჰყოფს იმ ხმას, ვითომ მეფე პეტრეს ხელმწიფობაზე უარი ეთქვას. პოლიტიკურ მოღვაწეთ უკვირთ, რომ ადმირალი როჟესტვენსკი აიძულეს, კამრანის ნავთსადგურიდან წასულიყო, რადგანაც საფრანგეთს ნეიტრალურ ნავთსადგურებში გემების გაჩერებისთვის 24 საათის ვადა არა აქვს დაწესებული. ჟონკლიერმა დეპეშა გამოგზავნა, რუსის ესკადრა ვანფონგიდან გავიდაო.

ვაშინგტონი. ნამდვილ წყაროებიდანა სჩანს, რომ რუზველტი მზად არის რუსეთსა და იაპონიას შორის შუამავლობა გასწიოს. პრეზიდენტი მხოლოდ იმ პირობით ერევა საქმეში, თუ დიდი სახელმწიფოები მას მხარს მისცემენ.

ტოკიო, 27 აპრილი. ყველა დასების მეთაურნი ცდილობენ დაამშვიდონ ხალხი, რომელიც აღელვებულია საფრანგეთის საქციელით.

პარიზი, 27 აპრილი. როგორც საიგონიდან მოსულ დეპეშიდანა სჩანს, როჟესტვენსკისა და ნებოგატოვის ესკადრები პადარანის კონცხის ახლოს გაშლილ ზღვაში ერთმანეთს შეხვდნენ და ერთად წავიდნენ. ინგლისის წრეებში საფრანგეთის ნეიტრალიტეტის შესახებ ინციდენტს გათავებულ საქმედ სთვლიან. ბევრი ჰფიქრობს, რომ ინგლის-იაპონიის კავშირში განსაცდელი იმალებაო, რომელზედაც აქამდისინ არავინ ჰფიქრობდაო.

ტოკიო, 25 აპრილი. ოფიციალურად გამოცხადებულია გაფრთხილება, რომ პესკადორის კუნძულებთან ათი მილის მანძილზე მიახლოვება საშიშოა, რადგან იქ ნაღმებია ჩაწყობილიო. ხალხი დიდი მომდურავია საფრანგეთისა; ბევრი ჰფიქრობს, დახმარება, რომელიც საფრანგეთმა როჟესტვენსკის აღმოუჩინა, იაპონიაზე იარაღით გალაშქრებას უდრისო, და თხოულობს, ინგლისი ხელშეკრულობის ძალით საქმეში ჩაერიოს.

სუეცი, 27 აპრილი. ინგლისის ექვსი ნაღმოსანი სინგაპურში წავიდა.

ლონდონი, 27 აპრილი. გემი „ვირგინია“, რომელიც სიდნეიში იყო, 10,000 ცხენის გადასაყვანად მოაწყეს. ეს ცხენები იაპონიამ ავსტრალიაში იყიდა.

ბერლინი, 27 აპრილი. სამხედრო წრეებს ჰფიქრობენ, რომ იაპონელები ზღვასა და ხმელეთზე ბრძოლას ერთსა და იმავე დროს დაიწყებენო.

პარიზი. კამრანის ნაპირების კონცესიონერი, მარკიზი ბარტელამი უარსა ჰყოფს იმ ხმებს, ვითომც იმას როჟესტვენსკის ესკადრისთვის ნახშირი მიეცეს. იმისი სიტყვით რუსებმა საიგონში იყიდეს მიწები, გააკეთეს დიდი ფარდულები და ნახშირით აავსეს, აი, ამ ნახშირის დასატვირთავად მოელოდნენ რუსის გემები და ესკადრას უზიდავდნენო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ტიურენჩენის ბრძოლის იუბილეი. 19 აპრილს იალუს ბრძოლის ერთი წლის იუბილეი გადაუხდია გენ. კუროკის ჯარს. ამ დღეს კუროკის მთავარი ბანაკი მშვენიერ სურათს წარმოადგენდა. ის ხეობა, სადაც მთავარი ბანაკია, ჯარმა საუცხოვო ბაღად გადააქცია. ხელოვნურად გაკეთებული გუბეები, ტბები და მთები იაპონიის ბუნებას მოაგონებდა. ყველაზე უფრო საგულისხმო იყო გენ. კუროკის ძეგლი და იალუს ბრძოლის სურათი-პანორამა. აქა-იქ სხვადასხვა დეკორაციები და სატანვარჯიშო მოწყობილება იყო გამართული. პატარა გორაზე სამლოცველო იყო ამართული. სამლოცველოს კედლებზე ჩამოკიდებული იყო იალუს ბრძოლაში დახოცილთა სია.

ლოცვის შემდეგ სადღესასწაულო სადილი, დოლი, ქიდაობა და ათასნაირი წარმოდგენა გაიმართა (რ. ვ.).

დღესასწაული. ძომავალ კვირას ტოკიოში ბრძოლაში დახოცილ იაპონელთა პატივსაცემლად დღესასწაული გაიმართება. დღესასწაული 3 დღეს გასტანს. პირველ დღეს შოკონშის ტაძარში ცერემონიულად უნდა გადაიტანონ ბრძოლის ველზე დახოცილ 36,866 იაპონელის სია. დახოცილთა ნათესავები, რომელნიც ტოკიოში ჩამოვლენ, ტოკიოელების სტუმრები იქნებიან. ტაძარში გამოფენილი იქნება იაპონელების დავლა—რუსებისათვის წართმეული ზარბაზნები, იარაღი, დროშები და სხ. დღესასწაულებს რიგრიგით იაპონიის იმპერატორი, მისი მეუღლე და მემკვიდრე დაესწრებიან ს. ო.).

მომავალი ბრძოლა ზღვაზე. „მატენ“-ის კორესპონდენტი პეტერბურგიდან დეპეშით იუწყება: აქ ყველაფერი დაიკეტა. ქუჩები ცალიერია; ყველგან სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, აღდგომა აღდგომას არა ჰგავს. ერთი საზღვაო აფიცერი ვნახე და მომავალ საზღვაო ბრძოლის შესახებ ველაპარაკე. აფიცერმა გადაჭრით მითხრა, ტოგო და როჟესტვენსკი ერთმანეთს მაისის დამდეგს შეხვდებიან. იმ დრომდის კი, საეჭვოა მოხდეს რამეო (რ. ს.).

მანჯურიაში. «რუს. სლოვოს» შანჰაიდან დეპეშით ატყობინებენ: ინკოუს ნავთსადგური გაჭედილია გემებითა და ნავებით. ამჟამად აქ ნავთსადგურში 50 დიდი გემი სდგას. ინკოუში ამდენი გემი ჯერ არ მოსულა. იაპონელები ამბობენ, მაისის დასაწყისს მანჯურიაში ისეთი ბრძოლა მოხდება, რომ მუკდენის ბრძოლა ამასთან არაფერი იქნებაო.

იმავე გაზეთს გუნჯულინიდან ატყობინებენ: იაპონელები დიდ მზადებაში არიან. დღეს თუ ხვალ იერიშით წამოვლენ. იაპონიის ჯარი ისე დგას, რომ ძნელი გამოსაცნობია, რომელ მხრიდან აპირობენ მოვლას. დასავლეთიდან მოვლა ძალიან გაუჭირდებათ, რადგან არც გზებია და მდინარენიც ისე ადიდდნენ, რომ გასვლა თითქმის შეუძლებელია. თუ მაინცადამაინც მოახერხეს და ამ მხრიდან მოგვიარეს, ჩვენი ჯარი დაიღუპება, რადგან უკან დასახევი გზა აღარ ექნება და იძულებული გახდება ან ვლადივოსტოკისაკენ წავიდეს ან ტყვედ დანებდეს. თუ მეორე მხრიდან—აღმოსავლეთიდან მოგვიარეს, ხარბინს წაგვართმევენ და ციმბირში გამოგვრეკავენ (რ. ს).

ახალი ამბავი

✦ ტფილისის სასწავლებლებში მოსწავლეთა **მშობლების რეზოლუციას** ჯერ-ჯერობით 700 კაცმა მოაწერა ხელი.

✦ ყარსის რკინის გზაზე ჩამოწოლილი ზვავი გასწმინდეს და **მატარებელთა წესიერი მიმოსვლა დაიწყო.**

✦ შაბათს, 30 აპრილს, რკინის გზის სახელოსნოებში, ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, იქმნება წარმოდგენილი იბსენის დრამა **„ექიმი შტოკმანი“**.

✦ გუშინ, 28 აპრილს, ქალაქის ბაყლებსა და მებაღეებს **მოლაპარაკება ჰქონდათ, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ.** ჯერ-ჯერობით ბაყლების თავხედობას ბოლო არ უჩანს.

✦ გუშინ, 28 აპრილს, ბ-ნ სულთან-კრიმ გირეისა, ტროფიმოვისა და პოლიციის უფროსის **შესახვედრად ბაქოში წავიდნენ:** ბ-ნი ივანოვსკი, ლინდენი და რკინის გზის ჟანდარმთა უფროსი სოლოვიოვი.

✦ **ამ წლის პირველ იანვრიდან პირველ მაისამდე,** წინაწელთან შედარებით, ქალაქს შემოსავალზე 198,000 მანეთით მეტი გასავალი ჰქონია.

✦ „კავკაზის“ რედაქციას **გუნჯულინიდან პოლკოვნიკ ბარათაშვილისაგან მოუვიდა შემდეგი დეპეშა:** „ეს არის ახლა სლეპცოველები ბრძოლის ველზე მიდიან და თავის მშობლებსა და ნაცნობებს გულით ულოცავენ ქრისტეს აღდგომის დღეს. წერილები უნდა იგზავნებოდეს გუნჯულინში“.

✦ ქალაქის საბჭოს დარბაზში **კრება ჰქონდათ უსახელო საზოგადოებისა და გაფიცულ მოსამსახურეთა წარმომადგენელთ.** წარმომადგენლები ვერ შეთანხმდნენ და გაფიცვაც ჯერ არ შეწყვეტილა. დაწვრილებით შემდეგ.

✦ ახალსენაკიდან გვატყობინებენ, რომ ი] **შეუპყრიათ ინტელიგენტი ბ-ნი ჩოჩია** და ქუთაისის ციხეში გაუგზავნიათ.

✦ დღეს, 29 აპრილს, სახაზინო პალატის დარბაზში დანიშნულია სხდომა ხარჯის გამწერ საკრებულოსი.

✦ ის ხმები, ვითომ სენატორი **კუზმინსკი ბაქოში მომხდარ ამბების რევიზიაზე ხელს იღებდეს, სიმართლეს მოკლებულია.** სენატორ კუზმინსკის ამის შესახებ არავისთვის არაფერი განუცხადებია (რუს.).

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეთა მოთხოვნილებანი.

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეებმა მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის ს. ი. ვიტტესა, შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინისა და ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრეს სამმართველოს უფროსის სახელობაზე შემდეგი დეპეშა გაჰგზავნეს.

„ვინაიდან ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ მთავრობა ცდილობს სახელმწიფოს მოქალაქეთა ცხოვრების გაუმჯობესობას, ჩვენც, ფოსტა-ტელეგრაფის უწყინარი მოხელენი ვბედავთ და უმორჩილესად გთხოვთ: 1) მოგვემატოს ჯამაგირები, რადგანაც ცხოვრება მეტად გაძვირდა; 2) ჩვენი დღიური სამსახური არ აღემატებოდეს ექვს საათს. ღამით მუშაობისათვის კი, ვინაიდან ეს მუშაობა ჯანმრთელობისათვის დიდად მავნებელია, მოგვცეს კერძო სასყიდელი; 3) ნება მოგვცეს კანონის მიერ დაწესებულ „ოტპუსკებით“ ვისარგებლოთ იმ დროს, როცა ჩვენთვის საჭიროა და როდესაც მოხელეთა უმრავლესობა ამის თანხმა იქნება, და არა მაშინ, როდესაც ჩვენი უფროსები მოისურვებენ ხოლმე. „ოტპუსკის“ დროს, რასაკვირველია, ჯამაგირი უნდა გვეძლეოდეს და პენსიისათვის დასამსახურებელ ვადაში არ უნდა ირიცხებოდეს; 4) ნება გვქონდეს ოთხის თვის ავადმყოფობასა და მოისპოს ის წესი, რომლის ძალითაც ავადმყოფ მოხელეს ოთხ თვემდე აიძულებენ სამსახურში გამოცხადდეს, რაც წინააღმდეგია ყოველისავე მედიცინისა; 5) სამკურნალო დახმარება და წამლები უფასოდ მოგვეცეს; 6) პენსიის დასამსახურებელი ვადა იყოს 25 წელიწადი და თვით პენსია უდრიდეს $^2/_3$ მოხელის ჯამაგირისას (ბინის სადგომის ფულთან ერთად), ხოლო ვინც 25 წელიწადზე ნაკლებს იმსახურებს, იმას პენსია მიეცეს ნამსახურ წლების დაგვარად; 7) გაუქმებულ იქმნას ფულით დაჯარიმება; 8) ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა შვილებს ნება ჰქონდეთ იმპერიის ყველა სასწავლებლებში უფასოდ ისწავლონ. 9) სამსახურში წარმატება მოგვეცეს ხოლმე უეჭველად ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, როგორც ვაჟებს ისე ქალებსაც. ამასთანავე ამ საქმეში ხელი არ უნდა ჰქონდეს ვისიმე „თვითნებობასა და კერძო აზრს“. 10) სააღდგომოდ და საშობაოდ ყველა მოხელეს და დაბალ მოსამსახურეთ საჩუქრად მიეცეთ ერთის თვის ჯამაგირი. 11) ჩვენთვისაც დაწესდეს კვირა-უქმეები, როგორც ეს მთავრობის სხვა დაწესებულებაშია. 12) სამსახურში ახალ ჩასარიცხველთათვის დაწესდეს განათლების ცენზი, ისეთი მაინც, როგორც განსაზღვრულია კანონით პირველ ჩინის მიღებისათვის. 13) მოწესრიგდეს ურთიერთობა უფროსთა და უმცროსთა შორის, რომელსაც საფუძვლად დაედოს პიროვნების პატივისცემა. 14) გამოუძიებლათა და საქმის გამოურკვევლად მოხელე ნუ იქნება ნურც დათხოვნილი და ნურც ჩამოქვეითებული. 15) კანონმდებლობითის წესით ნება მოგვეცეს გავმართოთ ხოლმე კრებები ჩვენ საჭიროებათა შესახებ მოსალაპარაკებლად. მოგვეცეს ნება დავაარსოთ საამხანაგო სასამართლო. 16) სამსახურში მიღებისა და წარმატების დროს მოხელეთა ეროვნებას ყურადღება არ უნდა მიექცეს. 17) მოგვეცეს ჰიგიენურად მოწყობილი ბინა. 18) გაუმჯობესებულ იქმნას მატერიალური მდგომარეობა და, საზოგადოდ ცხოვრება ფოსტალიონებისა და დეპეშების დამტარებლებისა. ნება მიეცეთ საკლასო თანამდებობაზე გადასვლისა, თუ ცენზით მეთორმეტე მუხლს აკმაყოფილებენ. და აგრეთვე ნება მიეცეთ საპენსიო კასსაში წევრად ჩაწერისა.

სადღეისო

მამა და შვილი.

ქალაქს ნაცრის ფერი ღრუბლები გადაეკრა. ქუჩაში ჩამი-ჩუმიც აღარ ისმის. ყველა შინ ჩაკეტილა. კარში გამოსვლას ვერა ჰბედავს.

ეს-ეს არის, ქუჩაზე არეულობა იყო წესიერების მცველნი ქუჩაზე ცხენებს დააქენებენ.

რევაზის სახლშიაც დიდი ალიაქოთია. მისი ერთად-ერთი შვილი დაჭრილი მოიყვანეს ამხანაგებმა. რევაზი კაბინეტში იყო, როდესაც შვილის უბედურება შეატყობინეს, და, თითქო გაეხარდაო, წამოიძახა „ვენაცვალე ღმერთს! მოხვდა ამ გამხმარ ზურგში!“

მაგრამ მალე თავი შეიკავა და დინჯად მოისმინა შვილის უბედურების ამბავი.

განა ერთხელ დაარიგა და ორჯერ! მთელი დღე სულ ეჩიჩინებოდა: „შვილო, დადექი შენთვის! შენ რა გაკლია!? არც პური, არც წყალი. რძეცა და ბულკიც ყოველ დღე გაქვს. თბილად გაცვია, თბილ ლოგინში წევხარ. რა გინდა, შვილო, სხვა? იყავი შინ და, რაც გინდა, მოითხოვე. შენისთანები არიან, რომ ციხეში ლპებიან ამ საქმეზე! შენ როგორ უნდა გაუძლო იმ ტანჯვა-ვაებას! მე მიყურე, შვილო, შენი მამა არა ვარ! მიყურე ჩემის ერთგულის სამსახურის გამო სოვეტნიკობა მივიღე. იყავ შენ შენთვის, ჩუმად! გაუშვი ის, ვიღაცეები არიან, ისევ იმ ტანჯვაში და გაჭირვებაში იყვნენ, როგორშიაც ეხლა იმყოფებიან! შენ რა! უყურე უფროსებს, დაემორჩილე, მათი ყმა იყავ. რა დროს თავისუფლებაა! რა დროს ერთობა და თანასწორობაა! განა შენ, თავ. რევაზის შვილს, მდიდარს, ვიღაც ტალახში მოთხუპნული მუშა, ღარიბი, ღატაკი, ტანისამოს-შემოფლეთილი მუშა შეგედრება?!... აბა, როგორ იქნება მათთან გათანასწორება?! გეუბნები, შენ სოვეტნიკის შვილი ხარ, ის კი მუშაა, მუშა!...

ხშირად ესმოდა შვილს მამისაგან ამისთანა დარიგება. ხშირად უკითხავდა მამა-სოვეტნიკი ამისთანა ნოტაციებს თავის 17 წლის შვილს.

შვილი, გაჩუმებული, ყურს უგდებდა ამ მამობრივს, ნამდვილად კი—სოვეტნიკურს, რჩევა-დარიგებას და თითქო ეთანხმებოდა კიდეც. მამასაც მოსწონდა ეს და ახლა ქებას დაუწყებდა ხოლმე.

ეს ქებაც რაღაცა სოვეტნიკური იყო. ის უქადოდა თავის შვილს ჩინ-მედლებს, პატივის-ცემას და სხვა ამგვარ სამკაულებსაც.

მაგრამ მამის იმედი არ გამართლდა. შვილი ამ დუმილით აძინებდა მას, თვალს უბავდა მამას, მოხუც სოვეტნიკს.

ერთ მშვენიერ დილას აკი მოუყვანეს შინ სოვეტნიკს,—ოჰ ღმერთო კი მომკალი, სოვეტნიკს!—„ბუნტში“ დაჭრილი შვილი. რას ეტყვიან ახლა მას უფროსები?!! ხომ გაუწყრებიან მას და, შეიძლება, დაითხოვონ. რაღა უნდა ქნას ეხლა? ხომ დაკარგა სამუდამოდ „თბილი ადგილი“ და „20“! ოჰ, საშინელებაა! „20“? ვინ-ღა დაუბრუნებს იმას? შვილი? მაგრამ შვილი ხომ მისი დამღუპველია!

ამ აზრმა რევაზს თავში ელვასავით გაურბინა. ის გაგიჟებულივით წამოხტა ზეზე და იმ ოთახისაკენ გაქანდა, სადაც მისი დაჭრილი შვილი იყო.

ფერ-მიხდილი, გამხდარი, მაგრამ ამავე დროს რაღაცა მედიდურებით, მისი შვილი ბალიშზე გადასვენებულიყო. მის მოხდენილ სახეს მოელვარე თვალები ამშვენებდა. პირზე, ეს-ეს არის, ახლა ამოსდიოდა ბალანი.

მამა ერთ წამს შეჩერდა. შვილის სახის გამომეტყველებამ შეიპყრო, შეჯაჭვა ეს ბებერი, სოვეტნიკი.

რამდენად სუსტი, რამდენად მდაბალი იყო ამ ჟამად მოხუცი მამა—რევაზი ამ პატარა, მაგრამ მშვენიერ ყმაწვილთან შედარებით...

მამა-შვილურმა გრძნობამ აიტაცა იგი. ორთავე მუხლებზე თავის შვილის წინ დაეცა. შვილის გამბედაობამ, მისმა ამხანაგთა მოყვარეობამ, მისმა ვაჟკაცობამ მამის დახავსებულ გულში ჩაანათა, მოხვია შვილს ხელი და ალერსიანათ ჩაეკითხა:

— სხვები როგორ-ღა არიან, შვილიკო?

— ყველანი კარგად იქნებიან, თუ კი მშობლებიც მხარს დაუჭერენ!—ღიმილით უთხრა შვილმა და შუბლზე ხელი გადაისვა.

ამ დროს ავადმყოფის ოთახში მზემ შემოანათა. მისი ცელქი სხივები სიცილით თავს დასტრიალებდა ახალგაზდა შაბუკს და ღრმა ფიქრებში წასულს რევაზსაც...

ვ. დ.

რუსეთი

დიდ შაბათს მოსკოვში ხმა გავრცელდა, ამაღამ ებრაელი **დემოკრატები დიდ ტაძარს ააფეთქებენო.** პოლიციამ დაუჯერა ამ ხმას და ტაძრის დასაცველად პოლიციელები, კაზაკები, დრა-

---

ფელეტონი

გლეხი გურიაში

გლეხი და მამული.

წინა წერილებში ჩვენ გამოვარკვიეთ, თუ ვინაა გლეხი უფლებრივათ რუსეთის მონარქიაში და რა მოვალეობა აწევს მას სახელმწიფოს წინაშე. ახლა საჭიროა ვიცოდეთ, რა სალსარი აქვს გლეხს ამ მოვალეობათა ასასრულებლად და რამდენად მძიმეა ის ტვირთი, რომელიც მას კისერზე აწევს. გლეხის ძირითადი თვისება იმაში გამოიხატება, რომ ის მიწის მუშაა. ამიტომაც გლეხის ეკონომიურ არსებობისთვის მიწის საკითხი ძირითადი საკითხია. გლეხი უმიწოდ გლეხი აღარაა.

ამიტომ ჩვენთვის მეტად საყურადღებოა ვიცოდეთ, რამდენა მამული აქვს გლეხს და რამდენად შეძლებას აძლევს მას ეს მამული თავისი თავიც გამოიკვებოს და მრავალი სახელმწიფო მოვალეობაც დააკმაყოფილოს.

რასაკვირველია, ეს საკითხი ჩვენთვის ადვილი გამოსარკვევი იქნებოდა, რომ გვქონდეს სრული სტატისტიკური გამოკვლევა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მათემატიკურის სისწორით გაგვეთვალისწინებია საგლეხო მიწად-მფლობელობა და ციფრებზე დამყარებით გაგვერკვია გლეხის მდგომარეობა. მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ასეთი გამოკვლევა არ მოგვეპოვება და ამიტომ იძულებული ვართ მივმართოთ ჩვენს დაკვირვებას დ საკუთარის ცოდნისა და გამოცდილების დახმარებით მკითხველს წარვუდგინოთ დაახლოვებით სურათი გურულ გლეხის ეკონომიურ მდგომარეობისა.

გურიის სოფლებში, როგორც ეკონომიურის მდგომარეობისა, ისე მოძრაობის მხრივ, ერთი ტიპიური საზოგადოებათაგანია სოფელი ნიგოითი. ამას წინად მე შემთხვევა მომეცა ამ სოფელში ამეწერა სულ 19 კომლი გლეხი. იმათგან 14 მესაკუთრეა, ხოლო ხუთი—დროებით ვალდებული. აი, რა დამანახვა ამ აღწერამ.

14 მესაკუთრე კომლი შესდგება 105 სულისაგან და აქვთ 15 ქცევა ეზო, 16 ქცევა სახნავი და $5^3/_4$ ქცევა საჩეხი (ჩირგვნარი). ამნაირად, თითო ოჯახზე მოდის ეზო 1,07, სახნავი, 1,14 და საჩეხი 0,36. ერთად რომ ავიღოდ მთელი მიწის რაოდენობა, ოჯახს ერგება—2,63 ქცევა და სულს—0,35 ქცევა.

5 დროებით ვალდებულ კომლს, რომელიც 35 სულისგან შესდგება, აქვს ეზო 3,75 ქც., სახნავი—15,35, საჩეხი—18,5. თითო ოჯახს უწევს: ეზო—0,75, სახნავი—3,50 და საჩეხი—3,70 ქცევა. თითო ოჯახზე მოდის საშუალო რიცხვით 7,50 ქცევა, სულზე—1,07 ქცევა, სახნავი სულზე—0,43 ქცევა.

საკმარისი არაა ვიცოდეთ მიწის რაოდენობა. საჭიროა ისიც გავითვალისწინოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ეკონომიურად სხვადასხვა კატეგორიის მიწებს. რას აძლევს გლეხს ეზო, სახნავი, საჩეხი?

ქართლელ გლეხს გაუკვირდება, როცა გაიგებს, რომ გურულს ხშირად ერთი ქცევა, ესე იგი 900 ოთხ-კუთხი საჟენი, ეზო აქვს. ის არ სჩვევია ამას—ქართლელები ერთად არიან თავმოყრილნი და ხშირად ქართლელის ეზო მხოლოდ სახლის ბანისაგან შესდგება. გურიაში სულ სხვანაირად არიან დასახლებულნი: ყოველ ოჯახს თავისი საკუთარი კარმიდამო აქვს, რომელიც უფრო ხშირად შემოღობილია და მასთან საკმაოდაც ვრცელია. მარა რას აძლევს გურულს ეზო? ერთი თვალის გადავლებით დაინახავთ მას. გურულის ეზო გაუშენებელია,—აქ შევმთხვევით თუ მოიპოვება ორი-სამი ძირი ხეხილი,—დანარჩენი ხეები სრულიად უსარგებლოა და თავისთავად არის მიწიდან ამოხეთქილი და გაზრდილი. თავისთავად კი ის ხე იზრდება, რომელიც საარსებო ბრძოლაში ყველა დანარჩენს სჯობნის. ასეთ ხეს არც ერთი პირუტყვი პირს არ გაჰკრავს და არა სჭამს. გურულის ეზოში განსაკუთრებით ბევრია მყრალი თხმელა ანუ მურყანი, რომელიც არა თუ არავითარ გამოსადეგ ნაყოფს არ იძლევა,—შეშათაც კი თითქმის გამოუსადეგარია, ისეთი მდარე ღირსებისაა. გურულს ეზო არავითარ შემოსავალს არ აძლევს. იგივე ითქმის საჩეხზედაც.

გურიაში საჩეხს ეძახიან იმ მამულს, რომელიც საყანედ გამოსადეგია,—ზეგანი აყალო მიწაა, სადაც იზრდება უმეტესად გვიმრა, თელის ბუჩქები და ორიოდე ხშირის სხეპვისაგან ძალზე დაგვალული წიფლის ხე. ამგვარად, გლეხისათვის საჩეხის უსარგებლობა ცხადზე უცხადესია. დაგვრჩა საყანე მიწები.

როგორც ზემო აღნიშნულ ციფრებიდან დავინახეთ, თითო მესაკუთრე კომლს უწევს 1,14 ქცევა, დროებით ვალდებულს კი—3,50 ქცევა საყანე მიწა. წარმოვიდგინოთ, რომ ეს ბინები ნოყიერია, მუდამ შეიძლება მათი მოხვნა და დასვენებას არ საჭიროებს, თუმცა ეს წარმოდგენა სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან ჩვენში არ არის ისეთი მიწა, რომელიც მუდამ ვარგოდეს საყანედ, მარა ვთქვათ, რომ ეს შესაძლოა და ვიკითხოთ: ამ იდეალურ შემთხვევაშიც შესაძლოა ხსენებულის მიწით გლეხის ოჯახმა თავის მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს თუ არა?

ქცევა მიწის მოსავალი საშუალო რიცხვით ოცდაათ ფუთ სიმინდს არ აღემატება, ამ ანგარიშით გამოდის, რომ თავის მიწაზე თითო კომლი მესაკუთრე მოიწევს 34,20 ფუთს და დროებით ვალდებული—105 ფუთს. ვიანგარიშოთ ოჯახში 6 სული, თითო სულს თვეში ესაჭიროება 2 ფუთი სიმინდი, წელიწადში—24 ფუთი, მთელ ოჯახს გამოსაკვებად—144 ფუთი სიმინდი. მაშ აქედან სჩანს, რომ არც მესაკუთრეს თავის მიწაზე, არც დროებით ვალდებულს სანადელო მიწაზე არ შეუძლიან იმდენი სიმინდი მოიწიოს, რომ ოჯახი გამოჰკვებოს, არა თუ ყველა დანარჩენი მოთხოვნილებანიც დააკმაყოფილოს.

აქედან ცხადია, რომ მემამულე გლეხს მიწის გარეშე გასაქანი არა აქვს,—მან აუცილებლად უნდა მიმართოს მემამულეს და აიღოს სხვისი მიწა დასამუშავებლად.

ახლა ვნახოთ რამდენად ხელსაყრელია გლეხისთვის მემამულის მიწაზე მუშაობა. ერთი ქცევა მიწის დამუშავებას ესაჭიროება: გაწმენდას *) 2 კაცი, მოჩალვას—2 კაცი, ღობე სათაღრო ყანაში ქცევაზე ხუთი საჟენი—ერთი ურემი წკნელი. ურემ წკნელზე ათი შაური ბაჟია. მოჭრასა და გალობვაზე 1 კაცის დღენახევარი მუშაობა; მოხვნას უნდა ერთ დღეს ოთხი უღელი ხარი და ოთხი კაცი, დაკვალვას—1 კაცი, გამარგვლას—6 კაცი, გათოხნას—4 კაცი, მოტეხას—4 კაცი, მოტანას ერთ დღეს ერთი უღელი ხარი და ერთი კაცი. თუ უღელ ხარის მუშაობას შეუტოლებთ ორი კაცის მუშაობას, რაც ჩვენში ჩვეულებრივი საზომია, მაშინ ერთ ქცევა მიწის დამუშავებას $35^1/_2$ კაცის მუშაობა დასჭირდება. დღეში ერთი კაცის მუშაობა მისი საზრდოთ ჩავაგდოთ 60 კ.,—მივიღებთ 2130 კ.+50 კ.= 21მან. 80 კაპ. ამგვარად 1 ფუთი სიმინდი დაუჯდება მუშას 72,66 კ. ეს მაშინ, თუ მისი საკუთარი მიწაა. მიწა თუ მემამულეს ეკუთვნის, მიწის პატრონს მიაქვს მესამედი—10 ფუთი, მეველეს ერთი ფუთი, „სალეჟრობო“ მეველეს—ორი ფუთი, დარჩა გლეხს—17 ფუთი. ფუთი სიმინდი დაუჯდა 1 მან. 28 კაპ. ბაზარზე კი ფუთი სიმინდი ფასობს 35 კ.—50 კ.

ცხადია, სიმინდის კულტურა იმ სახით, რა სახითაც დღეს ჩვენში სწარმოებს, გლეხისთვის ხელსაყრელი არაა, საზარალოა, თუნდ საკუთარი მიწა ჰქონდეს მიწად-მომქმედს. მაგრამ, როცა ის მემამულის მიწაზე მუშაობს ისე სამძიმო პირობებში, მაშინ ეს მისი მუშაობა რაღაც უაზრობა გამოდის: უცხო კაცი იფიქრებს, გლეხს ტვინი არ ჰქონებია, თავის შრომის დაფასება არ სცოდნიაო.

აქ გაიხსენეთ ის აურიცხველი გადასახადები, რომელიც გლეხს აწევს. განსაკუთრებით აუტანელია დროებით ვალდებულ გლეხის მდგომარეობა. ცნობილია, რომ „უსტავნი გრამატებში“ ჩაწერილი მიწები უმეტეს ნაწილად უვარგისია. მიუხედავად ამისა დროებით ვალდებული გლეხი ყველა გადასახადებს გარდა კიდევ ბატონს აძლევს ეზოს ფულს 3 მ., 30 ფუთ სიმინდს, ნახევარ ფუთ ლობიოს და 300 კონა ჩალას. ფულად რომ ვიანგარიშოთ, ეს შეადგენს არა ნაკლებ ოცი მანათისა. ასეთ მდგომარეობაში ცოტაოდნად ნორმალური ცხოვრება წარმოუდგენელია.

აქამდის მე არაფერი მითქვამს საბალახოსა და ტყეზე. რა უნდა თქვათ, როცა გურულ გლეხს არც ერთი აქვს და არც მეორე? საბალახოს უქონლობა გლეხის ოჯახისთვის აუტანელია. მას ერთი თხაც კი ვერ შეუნახავს. სოფელ ხიდისთავში მე ავწერე სამი კომლი გლეხი. არც ერთს არ გააჩნია ოთხფეხი საქონელი. ერთ კომლს შეადგენს შვიდი სული, სახაზინო გლეხია, აქვს მხოლოდ ერთი ქცევა ეზო. ეზოში მივიხედ-მოვიხედე და ვერსად ერთ ქათამსაც კი თვალი ვერ მოვკარი. უნებლიედ ვკითხე: რაა, ერთი ქათამი მაინც არ უნდა გყავდეს-მეთქი?—განა ქათამს რჩენა არ უნდაო?—კითხვითვე მიპასუხა მან. პასუხი იმდენად ნათელი და გულსაკლავი იყო, რომ ენა ველარ მოვიბრუნე და ნახევრად გადაფერდებულ ძველ ფაცხას შევაჩერდი. განა არსებობაა იმ ოჯახის არსებობა, რომელსაც ქათამიც ვერ გამოუზრდია?

ტყეშიც ვერ შესდგამს გლეხი ფეხს ისე, რომ ფული არ გადაიხადოს. ფიჩხიც ვერ მოუხეკია, ყავარი ხომ მამასისხლად უჯდება.

ამნაირად ჩვენ დაახლოვებით აღვნიშნეთ გლეხის მდგომარეობა, აუტანელი გადასახადები, უმამულობა, სხვის მიწაზე მუშაობა ისეთის პირობებით, რომელიც ცხადად საზარალოა გლეხისთვის. აშკარაა, გლეხი ან მთლად ბრმა უნდა იყოს,—მოკლებული სიცოცხლის მისწრაფების ნიშანწყალს, ან თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას უნდა შეუდგეს. მაგრამ რა გზით?

რთული სოციალური ცხოვრება, ადვილი გასაგები როდია. ძნელია კაცისათვის გარჩევა [illegible]

აქედან წარმოსდგა მშრომელთა გაერთიანება—საერთო ძალით შრომის ინტერესების დასაცველად და, [illegible] მთელი ის სოციალური მიმდინარეობა, რომლის ხმაც დღეს გურიაში ისმის.

ვ. ხურხულაძე.

---

*) გაწმენდა შემდეგში მდგომარეობს: გურიაში იმდენად ხშირი ბალახი ამოდის ყანაში, რომ იმ ბალახს გურულები „ტყეს“ ეძახიან. რომ ცოტაოდნად მაინც შემცირდეს ამ ბალახის ძალა, ყოველ წინა წელს აგვისტოში ყანაში მოსჭრიან თოხით ამ მავნე ბალახს, რომ არ დამწიფდეს და მომავალ წლისთვის მიწაში არ ჩაითესლოს.

ავტ.

გუნები და ქვეითი ჯარი მოიწვია. ჯარი ეკლესიას სამ რიგად შემოერტყა და უბილეთოდ არავის უშვებდა. მართლმადიდებელნი გაზეთებში ჩივიან, აღდგომა ღამეს, ვისაც ბილეთი არა ჰქონდა, არ გვალოცესო. ეს უსამართლობაა, უკანონობაო, და სხ. (რ.).

✦ 1 მაისის დღესასწაული ვარშაველ, კალიშელ და ლოძელ მუშებს გარდა მინსკელებისთვისაც ცუდათ გათავდა. მუშებს მშვიდობიანი კრება უნდა მოეხდინათ, მაგრამ **კაზაკებმა ამის ნება არ მისცეს.** მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ჯერ გამოკვლეული არ არის (ს. ო.).

✦ ვარშავაში მომხდარ **ხოცვა-ჟლეტის გამო** პოლონეთის გამოჩენილი ინტელიგენცია ქალაქის პრეზიდენტთან იყო მოსალაპარაკებლად. კრებამ დაადგინა, პოლიცია უკანონო ქცევისათვის პასუხისგებაში მივცეთო (ს. ო.).

✦ ვარშავის პოლიცმეისტერმა 1 მაისის **არეულობის მეორე დღესვე** გადასწყვიტა პოლიციის მომატება.

✦ ოდესაშიაც **მოუმატნიათ პოლიცია.** გრადონაჩალნიკმა ქუჩებში განცხადება გააკრა და ხალხს აფრთხილებს, ამ დღეებში ოდესაში დრაგუნთა ახალი პოლკი ჩამოვიდა და ფრთხილად იყავით, უწესოება და არეულობა არ მოახდინოთო (ს. ო.).

✦ ოფიციალური გაზეთი „ვარშავ. დნ." დაწვრილებით ასწერს 1 მაისს **ვარშაველ მუშებისმიერ გაკეთებულ ბარიკადებს.** მუშები ქუჩის გარდი-გარდმო ტელეგრაფის ბოძებსა და ცემენტის ბოჭკებს აწყობდნენ, რაც კი ხელში მოხვდებოდათ, ზედ აყრიდნენ, მაგრამ ბარიკადის დამთავრება ვერ მოასწრეს (ვ. დ.).

✦ 23 აპრილს ვარშავაში 18 აპრილს დახოცილებს მარხავდნენ. „რუს. სლ."-ს ატყობინებენ, მუშებმა ამ დღესაც არ გაუშვეს ეტლები და ტრამვაი და მაღაზიებიც დააკეტინესო. დამარხვას რამდენიმე ათი-ათასი კაცი დასწრებია. (რ. ს.).

✦ კიევის გუბერნატორს ბრძანება გაუცია, კიევში **პოლიცია დაუყოვნებლივ უნდა გაძლიერდესო** (რ. ს.).

✦ „სევ.-ზაპ. კრ."-ში სწერია: „ლიუდამონტას მახლობლად 16 აპრილს კაზაკებმა შეამჩნიეს, რომ ტყეში მრავალი ახალგაზრდა შეყრილა და **თოფის სროლას სწავლობენ.** კაზაკებმა სამი დააპატიმრეს, ცხენებზე შემოისვეს და... აქ კი გაზეთში აღარაფერი სწერია, თეთრი ადგილია დატოვებული და ბოლოში ნათქვამია, კაზაკებმა ხალხი გაფანტესო (ს. ო.).

✦ „ვარშ. დნევ."-ში დაბეჭდილია სია 18 აპრილის დემონსტრაციის დროს 12 **მოკლულისა და 32 დაჭრილისა.** ესენი მარტო ერთ ქუჩაზე, ერთ უბანში არიან დაჭრილნი და დახოცილნი. გაზეთი გვპირდება, დანარჩენების სიასაც გამოვაცხადებთო (რ. ვ.).

გლეხთა საკითხი კავკასიაში

გლეხთა მოძრაობას კავკასიის ყველა კუთხეში ერთი და იგივე ხასიათი აქვს.

ყველგან ტფილისსა და ქუთაისში გლეხები სჩივიან, ნამეტანი გადასახადები გვხდებაო, ფული უნდა ვაძლიოთო მემამულეს, მღვდელს, ხაზინას და ყოველ ჩინოვნიკსაცაო.

ძალა-უნებურად თავის თავს ეკითხება ადამიანი,—ნუ თუ ეს მოძრაობა წინდაწინვე განზრახულ აგიტაციის საქმეა? ან ეგება ამ მოძრაობაში გამოიხატება მხოლოდ ის საყოველთაო უკმაყოფილება, რომელმაც ამჟამად იჩინა თავი რუსეთში. ამ აზრს ადგება ზოგიერთი და თავსაც იმშვიდებს...

მაგრამ ეს აზრი შემცდარი გვგონია. მართალია, ამიერ-კავკასიაში გლეხთა მოძრაობას გარეშე ძალებიც ჰქმნიდნენ, მაგრამ ამ ძალებმა მიაღწიეს მიზანს მხოლოდ იმიტომ, რომ გლეხები ეკონომიურად მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილნი არიან..

საქმე ის არის, რომ განთავისუფლება კავკასიაში დღესაც არ არის დასრულებული. სამოციან და სამოცდაათიან წლებში დაწყებულ რეფორმების მსვლელობა შეფერხდა იმ რეაქციის გამო, რომელიც 80-ან წლებში დაიწყო და დღესაც არ დასრულებულა. კავკასიის ახალ გამგეობის პროექტის შემდგენლებმა 1883 წ. ისარგებლეს ნამესტნიკობის მოსპობით და მოსპეს საგლეხო კანცელარია, რომელიც განსაკუთრებით განაგებდა საგლეხო საქმეებს კავკასიაში. ამ კანცელარიაში შედგენილი ყველა პროექტი ჩერდებოდა სხვადასხვა ინსტანციებში და ბოლოს დაიკარგა პეტერბურგის კანცელარიებში...

ნადელების გამოსყიდვა ტფილისის გუბერნიაში ძალიან ნელად სწარმოებს და სანადელო ადგილების მხოლოდ ერთი მეხუთედი ნაწილი აქვს შესყიდული გლეხობას. ქუთაისის გუბერნიაში გლეხობას მეტი აქვს გამოსყიდული მიწა, თითქმის 50 პროცენტი...

ისეთი ძირითადი, გლეხობისათვის საჭირო კითხვები, როგორიც საძოვარ ადგილებითა და ტყით ან წყალით სარგებლობაა, უნდა მოეწყოს ყოველთვის გლეხების კერძო მორიგებით მემამულეებთან და ესენიც, რასაკვირველია, სარგებლობენ ამით და ყველა ამაზე, საძოვარსა, ტყესა და წყალზე, უშველებელ ფულს ახდევინებენ უმწეო გლეხობას.

აგერ 40 წელიწადზე მეტია, რომ გლეხები თავიანთ ნაბატონებს აძლევენ დიდ ღალას ყველა იმ მიწებში, რომელიც გრამოტებში ჩამოთვლილი აქვთ. ამნაირად, მათ ფაქტიურად ამ ადგილების სრული ფასი უკვე გადახდილი აქვთ. ამიტომ სამართლიანი იქნებოდა, რომ დროებით ვალდებულ გლეხებს მივაკუთვნოთ მათი სანადელო ადგილები და ის მიწები, რომელიც გრამოტებში აღნიშნული აქვთ.

რასაკვირველია, ამის გამო ზოგიერთი წვრილი მემამულე შევიწროვებულ მდგომარეობაშიაც ჩავარდება, მაგრამ შეიძლება მათ შეუწყოს ხელი მთავრობამ სესხისა ან შემწეობის მიცემით ისე, როგორც იგი ეხმარებოდა ზოგიერთ წვრილ მემამულეს ბატონ-ყმობის გადავდების დროს.

ამითი შეიძლებოდა გლეხების დამშვიდება კავკასიაში და ორსავე მხარეში მტრობის მოსპობაც ხანგრძლივად.

რაც შეეხება ნამეტან იჯარას მიწაზე,—ზოგიერთ ადგილას გლეხები $^1/_2$ მოსავალს იხდიან,—ეს იჯარა თავის-თავად შემცირდებოდა, ადგილობრივ მკვიდრ ხალხს სახაზინო ადგილებზე დასახლება რომ ჰქონდეს ნება-დართული.

ახლად გამწესებულ ნამესტნიკის დეპეშაში, მარტის 30, ვკითხულობთ, სხვათა შორის, შემდეგსაც: „უნდა გამოირკვეს, რამდენი არის თავისუფალი სახაზინო ადგილი, სადაც შეიძლება უმიწაწყლო მკვიდრ ხალხის დასახლებაო". აქ აზრი ნამეტან გაურკვევლად არის ნათქვამი. საჭირო იყო პირდაპირ გამოცხადება, რომ ისპობა ყველა ის კანონი, რომლის ძალითაც ადგილობრივ მკვიდრ ხალხს სახაზინო ადგილებზე დასახლების საქმეში ავიწროვებდნენ.

საჭიროა მთავრობამ უზღოს ზარალი იმ გლეხებსაც, რომელთაც უწინდელი ადმინისტრაცია უძნელებდა სახაზინო ადგილებით სარგებლობას, რაკი ეს ადგილები შიდა-გუბერნიებიდან გადმოსახლებულთათვის უნდოდა. ბევრგან ადგილობრივ გლეხებს ჩამოართვეს მიწა და ამ ახლად გადმოსახლებულებს გადასცეს.

საზოგადოდ უნდა აღიაროს ადამიანმა, რომ არსად მთელს რუსეთში საადგილ-მამულო საქმე არ არის ისეთ ცუდ პირობებში ჩაყენებული, როგორც აქ, კავკასიაში. ყოყმანი საქმის გადადება მხოლოდ უფრო გაამწვავებს გლეხების ისედაც გამწვავებულ დამოკიდებულებას მემამულეებთან და მთავრობასთანაც. საჭიროა იმ ბატონ-ყმობის მოსპობა, რომელიც ამ უკანასკნელ 10—15 წლის განმავლობაში შექმნა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ.

ახალმა ადმინისტრაციამ გადაჭრილი და გარკვეული გეგმა უნდა შეიმუშაოს.—წინანდელ წყობილების სრულ გაუქმების გეგმა, იმ წყობილებისა, რომელიც შექმნა ბიუროკრატიამ და რომელსაც თავად-აზნაურობის ერთმა ნაწილმა—ბატონ-ყმობის აღდგენის მოტრფიალეთ,—შეუწყო ხელი. *)

გ. თუმანოვი.

(„რაზსვეტ" № 49).

ქართლის ამბები

მართლა სულელები კი არა ყოფილან ჩვენი მეფეები, როცა მთელ საქართველოს ადგილ-მამული თავად-აზნაურობას უფეშქაშეს და საშვილიშვილოდ დაუმტკიცეს. ალბათ ღვაწლი მიუძღოდათ რამე, არა? დიაღაც! მაშინ ბლომად აქცევდნენ სამშობლოსათვის სისხლს, რასაკვირველია, მტრისას და თავის ყმა-გლეხებისას. თავს სწირავდნენ სამშობლოს ერთმანეთთან ბრძოლაში და თავის გამარჯვებას უკვდავ ჰყოფდნენ ნადავლით, აშენებულ საყდრებზე წარწერით: „ოდეს მე ერისთავთ-ერისთავმან ქართლისა და ოვსეთისამან, მოვაოხრე არაგვის ფშავნი, ხევსურნი და მთიელ-გუდამაყრელნი, ტყვედ ვქმენით მრავალნი, რომელთაც ძალედვა შემართებად იარაღისა, ხოლო მოხუცებულნი და ბავშვნი მოვწყვიტეთ, მამული წავუღეთ და დიდითა საშოვარითა დავბრუნდით, მაშინ შენ მღვთის-მშობელო, გამარჯვებისთვის მტერთაზედა, განგიახლე კარიბჭე ამა ეკლესიისა და ხატი შენი მოვაჭედინე ვერცხლითა ცურვილითა და თვალითა პატიოსნითა შევამკე".

დღესაც ქართლელი თავად-აზნაურობა არ ივიწყებს მამა-პაპათა ანდერძს და ამ გაჭირვების დროს იარაღს ხელსა ჰკიდებს. როგორც გადმოგვცეს, სოფ. წვერში შეკრებილა 700-დე თავად-აზნაური და დაუდგენია: რადგან ჩვენს მსაზრდოებელს ხალხსა და მიწას ხიფათი მოელისო, ამიტომ მოვალენი ვართ ყველა ჩავეწეროთ მილიციაში და სისხლი დავთხიოთ ქვეყნისათვისაო. გლეხობამ,—აქამდე ლოკოკინასავით თავის ბუდეში შემძვრალმა, უხმომ, უენომ, უფეხოდ მიწაზე მფოფხავმა,—ახლა გაზაფხულის ნამზე ბუდიდან რქები წამოყო და სასიცოცხლოდ სინათლეზე გამოძრომა ინებაო. უნდა ახლავე რქები დავამტვრიოთ, თორემ ხუმრობა საქმე ხომ არ არი, მაგრე ირქინოს და იქენაოსო.

რუისში გლეხები მოეტყუებინათ, ყაჩაღებთან საბრძოლად ვადგენთ მელიციასაო ხუთი გლეხიც ჩაწერილიყო, მაგრამ ბოლოს გაეგოთ იმათი დაფარული ძმათა-მკვლელობის განზრახვა და ზურგი ექციათ.

ახლა მსურველებს ყველგან აგროვებენ. ეწერებიან ისეთნი, რომელთაც ზურგიც ეწვით და კუჭიც—უქონლობით, ვისაც არაფერი არა აბადია-რა და ვერცარას დაჰკარგავს, თუ მღვრიე წყლით ახლა არ ისარგებლა და თევზის ჭერით ხელი არ მოითბო.

რუისშივე მომაგონა: აღდგომას ლიტონიობა ღამეს აზნაურებს გამოეცხადებინათ ხალხისათვის, საყდარში არავინ შეხვიდეთ, თორემ გაწყვეტილია, ყუმბარებით საყდრისა და გლეხების აფეთქებაო. მართლაც, ხალხი თურმე მოელოდა თავად-აზნაურთაგან თავდასხმას და შიშით საყდარში მხოლოდ ექვსი კაცი ძლივს შესულიყო. დანარჩენი ის იმოდენა ხალხი თურმე გარეთ იდგა და გაფაციცებით თვალი ეჭირა, რომ მართლა ვინმე უკეთურს ხალხის სისხლი არ დაეღვარა. ღვთით, ეს საზარელი ხმები არ გამართლდა და ის ზნელი პირები ღამის სიბნელემ ჩანთქა.

არც ნაკლები ღვაწლი ს. ტირძნისის მებატონეს მიუძღვის. ხალხი დაჟინებით ამტკიცებს და ფიცულობს, რომ ძმების სისხლით ყველაზე ადრე იმან გაისვარა ხელებიო. თვითონაც კაზაკურად ჩაეცვა და რომელი გლეხებიც დიდი ხანია მამულს ედავებოდნენ, პირველად ისინი ამოსწყვიტაო.

არც მღვდლები ჩამორჩნენ... მაგალითად, რ—ს მღვდელი კვეხულობდა, ვ. შ—ლი დავაბეზღე მაზრის უფროსთანაო, მაგრამ გლეხებმა უმოწმეს და მე გამამტყუნესო. ახლა აღარ ვიცი, სოფელში როგორღა ავიდეო. აგრეთვე მღვდელს სდებენ ბრალს, რომ კაზაკებს იმის თხოვნით ჩააყენეს სოფელში, თუმცა სოფელს ბუზიც არავისთვის არ აუფრენიაო. რა სახელი დაერქმევა ერწოელ მღვდლის მოქმედებას, რომლის მიზეზით ტოლათ სოფელში იმდენი ალალმართალი სისხლი დაიღვარა:!

დიდხუთშაბათს ღამე გორში, პოლიციის ქუჩის ჩასახვევში, ტყვიით დასჭრეს აქაურ პოლიციის სამმართველოში მოსამსახურე ჩიკოიძე. ტყვია ბარძაყში მოარტყეს. ჭრილობა სასიკვდილო არ არის. დამჭრელი დაიმალა. ამ კაცს ცოტა ენატანიობას აბრალებდნენ და დაჭრის მიზეზათაც ამას ასახელებენ. თავის ღვიძლ ბიძას ეთქვა: რა არის, შვილო, რაზე გვხოცავ ელდით, დაიმოკლე ენა, შენ კბილებში არ არისო.

აღდგომამ აქ მშვიდობიანად ჩაიარა. არც ის ლხინი და ქეიფები ყოფილა, როგორც წინად. ბევრმა დარბაზობაზე ხელი აიღო, პასქები და ინდაურ-გოჭები აღარ იყიდეს, „სტოლები" აღარ გამართეს. ყველა გაჭირვებასა ჩივის.

ყველა დუქანი, სახელოსნო, მაღაზია, სამიკიტნო დილით რვა საათამდე დაკეტილია. საღამოთიც რვა საათზე იკეტება. ასე რომ ამაზე გვიან ერთ დუქანს ვეღარა ნახავთ ღიას. მიკიტნები ძალიან უგუნებოდ ბძანდებიან, ღამის ვაჭრობა სულ მოესპოთ, რის გამოც ბევრი ავი და ქურდი კაცი თავს ვეღარ შეაფარებს სამიკიტნოებს.

ხარაზებს ერთი საქეირი აქვს, ერთს დილით დაუკრავენ; გაღების დრო არისო, ერთს შუადღისას,—დაისვენეთ, სადილი ჭამეთო, და ერთს საღამოთი—დაკეტეთო.

აღდგომის წინა დღეებში აქედან გაისტუმრეს შორეულ აღმოსავლეთში 36 კაცი მეზარბაზნე. გულსაკლავი იყო იმათი წასვლა. ტიროდნენ, როგორც გამცილებელნი, ისე თვით წამსვლელნი. ვაგონში რამდენიმე ჯარის კაცი ხელით აიყვანეს. ზოგი კიდე იგინებოდა და სწყევლიდა თავისს გამგზავნელებს.

უნდა შემდგარიყო სოფლის მასწავლებელთა კრება, მოიყარა თავი ოცდახუთამდე კაცმა, მაგრამ, რაკი მთავრობისაგან ნება-რთვა ვერ მიიღეს, გულ-დაწყვეტილები დაიშალნენ. ნებადაურთველად ყრილობა კი გორში დიდად სახიფათოა. არავინ არ დაჰხედავს თქვენს ღირსებას, თქვენს კაცობას, დაგასევენ კაზაკებს და გაგტყეპენ.

24 ამ თვეს გორის მაზრის უფროსთან მოვიდნენ სოფ. ტინიხიდში მცხოვრებელი გლეხები. იმათ მოახსენეს მაზრის უფროს: „ჩვენ, ბატონო, გვესმის და ვხედავთ, რომ მთავრობა იარაღს ურიგებს თავად-აზნაურობას და ისინიც ადგენენ რაზმებს, რომ დაგვეცენ და ამოგვწყვიტონ, თუ ყველანი არა, ისინი მაინც, ვინც იმათთვის უსიამოვნონი არიან. მაგათ ათასი წლის განმავლობაში გვწოვეს სისხლი და კისერზე გვასხდნენ. ჩვენც პირუტყვულის მოთმინებით ვიტანდით ყველა ამას, არ ვიღებდით ხმას. დღეს მეტის-მეტმა გაჭირვებამ, მეტის-მეტმა ულუკმობამ ჩვენც ხმა ამოგვაღებინა, ჩვენც მოვითხოვეთ, რომ კაცად გვიცნონ და არა პირუტყვად. რა დაგვიშავებია თავადებისთვის,—ისა, რომ „ერთობა" დავიძახეთ? რომ ჩვენც მოვისურვეთ ქვეყანაში გარევა? თუ ერთმა ვინმე ჩვენთაგანმა, მაგათგან ნატანჯ-ნაწამებმა, ვეღარ მოითმინა და ან დაუწვა ვისმე, ან დაუმტვრია, ნუ თუ იმ ცოდვას ის ჩვენი ათასის წლის ტანჯვა ვერ გამოისყიდის? აი, ვაცხადებთ, ბატონო, თუ მაგათ მართლა ხელი გამოიღეს ჩვენზე, ჩვენც თითო ძროხა მოგვეპოვება, გავყიდით, გავიწყვეტთ უკანასკნელ ლუკმას და იარაღს კი შევიძენთ. მაშინ, სანამ თქვენ მიეშველებით, ჩვენ იმათ ამოვწყვეტთ და ნუ თუ ღვთის სასიამოვნო საქმე იქნება ეს"?

ბევრი ილაპარაკეს კიდევ გლეხების დეპუტატებმა, და მაზრის უფროსსაც მაშინვე გაეგზავნა პოლიცია სოფ. ოთარშენში, გიორგი ამილახვართან და შეეთვალა, თუ ერთ გლეხს დაუშავებია რამე, ჩვენთან გექნება საქმეო. ვნახოთ, რა გზას დაადგებიან ან თავადები და ან ადმინისტრაცია.

რ. ოდეთ.

რუსეთის მდგომარეობა ფინანსების მხრივ *)

საფინანსო სისტემის გაკოტრებისა და ხანგრძლივ ომის გამო რუსეთი ფულის მხრივ დიდს გაჭირვებაში არის ჩავარდნილი. ასეთი გაჭირვება რუსეთს ჯერ არც ერთხელ არა სწვევია. მართალია, ყირიმის ომი ძალიან სამძიმო იყო, მაგრამ მაშინ, ჯერ ერთი, სამ წელიწადს ომზე მხოლოდ 538 მილიონი მანათი დაიხარჯა, ეხლა კი მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ომს თითქმის ერთი მილიარდი მოუნდა; მეორე, ყირიმის ომისთვის საჭირო ხარჯი თითქმის სულ შინვე იშოვეს, ეხლა კი იაპონიასთან საომრად საჭირო ფული რუსეთმა თითქმის სულ საზღვარ-გარედ უნდა იშოვოს. იმის გასაგებად და გამოსაკვლევად, თუ რა განსხვავებაა მაშინდელ და ეხლანდელ დროს შუა, საჭიროა, რამდენისამე სიტყვით აღვნიშნოთ ხალხის ეკონომიური ცხოვრება მესამოცე წლებამდე და ეხლა.

ყირიმის ომის დროს ბატონყმობა ჯერ კიდევ არსებობდა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ხალხი ეკონომიურად გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ეხლა. ფაქტიურად მაშინდელ გლეხს სახნავიც მეტი ჰქონდა, საძოვარიც, ტყეც, სამუშაო იარაღიც, საქონელიც ბლომად ჰყავდა და ეხლანდელზე უკეთესადაც იკვებებოდა. ბატონყმობიდან განთავისუფლება ხალხს ძალიან ძვირად დაუჯდა. გლეხს ძალაუნებურად, მიწის გარდა, თავის „ხორციცა და სულიც" უნდა გამოესყიდა. აგერ ორმოცი წელიწადია, რაც გლეხი იხდის თავის დასახსნელად აღებულ სესხის გასასწორებელ გადასახადს, მაგრამ ჯერაც ვერ განთავისუფლებულა ამ გადასახადისაგან. ამასთან აუარებელ პირდაპირ და არა-პირდაპირ გადასახადთა მეოხებით ტყავი სძვრება. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ გადასახადი დიდად გაიზარდა, ხოლო მიწა-კი გლეხს ბევრად იმაზე ნაკლები შერჩა, რაც წინად ჰქონდა. შეუმცირდა გლეხს შემოსავალი და გაუჭირდა თავის რჩენა. წინად თითო სული წელიწადში 25-30 ფუთ პურს ხარჯავდა, ეხლა კი ზოგიერთ ადგილებში თითო სული 12—15 ფუთს ხარჯავს.

მაგრამ გლეხების თანდათან გაღარიბებას მთავრობა ყურადღებას არ აქცევდა, გადასახადებს ამრავლებდა და ხაზინის შემოსავალს ადიდებდა. 1856 წელს ჩვეულებრივი შემოსავალი 200 მილიონს მანათს უდრიდა, ამ ბოლო წლებში კი 2,000 მილიონამდის ავიდა. ეხლანდელი ომიც ისეთს დროს დაიწყეს, როცა შინ აუარებელი საქმე იყო გასაკეთებელი. ბიუროკრატია გადატკეპნულ ხალხს მილიარდებს ართმევდა—ვინ იცის, რაზე ხარჯავდა და იმდენადაც კი ვერ მოემზადა, რომ პაწაწა იაპონიას გამკლავებოდა.

მაგრამ ამაზე ლაპარაკი არა ღირს. ეხლა საჭიროა გამოირკვეს,—რისგან და როგორ მოხდა, რომ რუსეთს, რომელსაც წელიწადში 2 მილიარდი შემოსავალი და „ფულის დაუშრეტელი წყარო" აქვს, არ ძალუძს ომს შინაურ საშუალებით გაუძლოს და იძულებულია ამისთვის საჭირო ფული საზღვარ-გარედ ეძებოს.

რადგან ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის გამო გადასახადთა მომატებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება, ამიტომ პირველ შეხედვით თითქოს აუცილებელი უნდა იყოს, რომ ხაზინამ ქაღალდის ფული უნდა გამოსცეს, ამ გზით შინვე იშოვოს სალარი და თავი დაანებოს გარეშე სესხებს, რომელიც გაღატაკებულ რუსეთს, სულ ცოტა რომ ვთქვათ, 7%-ად უჯდება და, თუ ისიც ვიანგარიშეთ, რომ რუსეთი მოვალეა სესხის ნაწილით საზღვარ გარედ საქონელი იყიდოს, გამოვა, რომ გარედ ნასესხებ ფულში რუსეთის ხალხი 10%-საც იხდის. მაგრამ გარემოება ისეთია, რომ ასეთი ხერხითაც არა გარიგდება-რა. ამ 7 თუ 8 წლის წინად რუსეთმა ფულის საქმეში რეფორმა მოახდინა და ქაღალდის ფულის მაგივრად ოქროს ფული შემოიღო. ეს რეფორმა იმისთვის იყო საჭირო, რომ უცხოელთა კაპიტალი შემოეტანათ მრეწველობის სხვადასხვა დარგის განსავითარებლად, სახელმწიფოში რკინის გზების გასაყვანად და იმ სახელმწიფო სესხების უზრუნველ-საყოფად, რომელთა აღება მთავრობის აზრით, მრეწველობისთვის ხელის შესაწყობად აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა. უცხოეთის კაპიტალისტებმა თავიანთ სესხის უზრუნველ-საყოფად მოითხოვეს, რომ რუსეთს ოქროს ფულის სისტემა შემოეღო და აღებული სესხი თავის სარგებლითურთ ოქროს ფულით ეხადნა. ფულის რეფორმის სისრულეში მოსაყვანად საჭირო გახდა ოქროს ფულის ფონდის შეგროვება. ათი წლის განმავლობაში გარეშე სესხის საშუალებით 722 მილიონ მანეთის ოქრო მოაგროვეს (1887 წლიდან 1897 წლამდის). ამ ფულს დასახურდავებელი ფონდი—225 მილიონი მანეთიც მიუმატეს, ოქროს ფულის ფონდი შეადგინეს და ქაღალდის ფულის ოქროზე დახურდავება დაიწყეს. 1897 წ. 1 იანვარს ოქროს ფულის ფონდი სახელმწიფო ბანკში 947 მილიონ მანეთს უდრიდა, 1898 წელს კი—1,147 მილიონ მანეთს. ოქროს ფულის ამოდენა ფონდმა ყველას თვალები აუხვია, რადგან ფინანსისტები ფიქრობდნენ, რომ თუ „მოულოდნელი" ხარჯი საჭირო შეიქნებოდა, ქაღალდის ფულის გამოცემა უზრუნველ-ყოფილი იყო. სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის დროს ყოველთვის ამ ფონდზე უთითებდნენ და ივიწყებდნენ, რომ ეკონომიური ცხოვრება „უქაზებს" არ ემორჩილება. როცა სამრეწველო კრიზისი ჩამოვარდა, სახელმწიფო ბანკი ახალ ქაღალდის ფულის გამოცემას ვერ ბედავდა და მრეწველთა შერყეულ საქმეების გამოსაკეთებლად ძალაუნებურად ოქროს ფულს ხარჯავდა, რაიც შემდეგი ცხრილითაც მტკიცდება:

	ქაღალდის ფულის რაოდენობა.	ოქროს ფული ბანკში.
1 იან. 1898 წ.	901,0 მილ. მ.	1147,6 მილ.მ.
„ 1899 „	661,8 „	990,7 „
„ 1900 „	491,2 „	830,2 „
„ 1901 „	555,0 „	708,1 „

ოქროს ფულის სისტემის დასაცველად საზღვარ-გარედაც კი სესხულობდნენ ოქროს ფულს და სახელმწიფოში ოქროს შემოსატანად სრულიად მეტსა და შემოუსავლიან რკინის გზებსაც კი დაუწყეს კეთება. ქაღალდის ფულს კი ვერ უშვებდნენ, რადგან ეშინოდათ, ეს ზომა უცხოეთის ბირჟაზე ნდობას დაგვიკარგავს და მომავალში ფულის სესხება გაგვიჭირდებაო. უცხოეთში უკვე კარგად იციან რუსეთის საფინანსო სისტემის რყევა და უიმედობა. ეს იქიდან სჩანს, რომ, რუსეთში არსებულ „ოქროს დაუშრეტელ წყაროს" მიუხედავად, 1903 წ. შემოდგომაზე, პოლიტიკურ გამწვავების ზედგავლენით, რუსულ მანათის კურსი ძალიან დაეცა და ლონდონის ჩეკებიც 6 მანეთით გაძვირდა: 100 გირვანქა სტერლინგში 944 მანათის მაგივრად, ბირჟაზე 950 მანათს თხოულობდნენ. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ 1903 წლის გასულს ოქროს ფონდი 1,058 მილიონ მანათს უდრიდა, ქაღალდის ფული კი—630 მილიონს. ეს იმას ნიშნავს, რომ 1897 წ. 29 აგვ. უქაზის ძალით, ამ ქაღალდის ფულის უზრუნველსაყოფად ბანკს შეეძლო მხოლოდ 330 მილიონ მანეთის ოქრო ჰქონოდა; იმას კი ზედმეტი 728 მილიონ მანათის ოქრო ჰქონდა. მიუხედავად ამისა, საზღვარ-გარეთის ბირჟა მაინც უნდობლად უცქეროდა რუსეთს და მანეთის კურსი ნორმაზე ქვევით იწევდა.

მომგებიან ქაღალდის ფულის გამოცემასაც უმატეს და 1904 წელს 630 მილიონიდან 900 მილიონამდე აიყვანეს, მაგრამ ამავე დროს იძულებულნი გახდნენ, უცხოეთისავე ბირჟის შიშით, ახალი სესხი დაეხმარებინათ და ოქროს ფონდი 1,058 მილიონიდან 1,237 მილიონამდის აეწიათ. შედეგი ის იყო, რომ მანეთის კურსმაც ჩვეულებრივ ფასამდე აიწია.

ასე მჭიდროდ არის რუსეთის ფულის სისტემა უცხოეთის კაპიტალისაგან დამოკიდებული და ამიტომაც შეუძლებელია ოქროს ფულიდან ქაღალდის ფულზე გადასვლა რუსეთში. ეს რომ არ იყოს და სახელმწიფოს გაკოტრების შიში არ არსებობდეს, რუსეთის ბიუროკრატები ქაღალდის ფულის გამოცემას არ დაიშურებდნენ და ომის ხარჯების გაძღოლასაც ამ საშუალებით მოინდომებდნენ.

ამგვარად, ომის მიერ გამოწვეულ ხარჯების დაფარვა მთავრობას ქაღალდის ფულის გამოცემით არ შეუძლიან. არის კიდევ ერთი საშუალება, რომელსაც ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ხმარობს ხოლმე. ესაა—შინაური სესხი. მაგრამ რუსეთის მთავრობისთვის დღეს ეს საშუალებაც დახშულია,—რუსეთის ხალხს ფული არა აქვს. რუსეთში არ არიან საკმაოდ ისეთი დიდი კაპიტალისტები, რომელთაგანაც მთავრობას, თუნდ დიდი სარგებლითაც, შეეძლოს ფულის სესხად აღება.

და ასე, რუსეთი თუმცა დიდ სარგებელს (10%-ს) იხდის, მაგრამ მეტი გზა არა აქვს, საჭირო ფული მაინც საზღვარ-გარედ უნდა ეძებოს,—იქაურ კაპიტალისტებს უნდა მიმართოს და იმათგან მძიმე პირობით ვალი აიღოს.

ეხლა საინტერესოა, ცოტა „ჩოტკიც გავკრათ" და გავიგოთ, რამდენი ვალი აქვს რუსეთს და რა შეძლება აქვს ამჟამად. რუსეთის ვალი ექვს მილიარდ მანათს აღემატება. 1905 წლის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში ნათქვამი იყო, რომ ვალის სარგებლის გადასახდელად 303 მილიონი მანათია გადადებულიო. იმავ წელს სახელმწიფო შემოსავალი 1,979 მილიონს უდრიდა. მაშასადამე, სარგებელი შემოსავლის 16%-ს ეთანასწორება. ეს ერთის შეხედვით ბევრად არ მოსჩანს, მაგრამ ნამდვილად კი რუსეთის მდგომარეობა გაცილებით უარესია. ხარჯთ-აღრიცხვის ზოგიერთ მუხლში წმინდა შემოსავალი კი არ არის ნაანგარიშევი, არამედ—საერთო, ასე რომ, წმინდა შემოსავლის საერთო ჯამი ზემოაღნიშნულ შემოსავალზე გაცილებით ნაკლებია. მაგალითად, ხარჯთაღრიცხვაში ნაჩვენებია, ვითომ სახაზინო რკინის გზების შემოსავალი 471 მილიონ მანათს უდრიდეს, აქედან ამ გზების შესანახად საჭირო ხარჯი რომ გამოვაკლოთ—ექსპლოატაცია (336,6 მილიონი), გზების გაუმჯობესება (42,2 მილიონი) და გზებისთვის საჭირო მასალის შეძენა (39,5 მილიონი), სულ 418 მილიონი მანათი—გამოვა, რომ სახაზინო რკინის გზების წმინდა შემოსავალი მხოლოდ 53 მილიონ მანათს უდრის; მაგრამ რადგან ამის ერთი ნაწილი კერძო რკინის გზების პატრონების დასახმარებლად მიდის, ამიტომ წმინდა შემოსავალი 40 მილიონ მანათს არ აღემატება. გარდა ამისა, ხარჯთ-აღრიცხვაში ნაჩვენებია,—ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი საერთო შემოსავალს 62 მილიონ მანათს იძლევიანო. ხარჯი 70%-ს უდრის, მაშასადამე, წმინდა შემოსავალი მხოლოდ 20 მილიონი მანათი რჩება. სახაზინო სასმელების შემოსავალი, ხარჯების გამოკლების შემდეგ, 358,6 მილიონ მანათს უდრის. სხვა მუხლებსაც რომ არ შევეხოთ და ანგარიშში მხოლოდ ზემოდ აღნიშნული მივიღოთ, გამოდის, რომ ის ფონდი, საიდანაც სახელმწიფოს ვალის სარგებელი გადის, 1979 მილიონ მანეთს კი არ უდრის, არამედ—1,340 მილიონს. მაშასადამე, სახელმწიფო ვალის სარგებელი საერთო შემოსავლის 15—16%-ს კი არ შეადგენს, არამედ—22—23%-ს.

გარდა ამისა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სახელმწიფო შემოსავლის ზოგიერთი მუხლი შემოუსავლობისაგან უზრუნველყოფილი არ არის. მაგალითად, ნადელების გამოსასყიდი გადასახადი (75,4 მილიონი მანათი), დიდი ხანია, დაძველდა და, დღეს თუ არა, ხვალ უნდა გაუქმდეს. რადგან ხალხი გაღატაკებულია და, მაშასადამე, იმის მომხმარებელი ძალაც შესუსტებულია, ამიტომ მოსალოდნელი არის, რომ არყის შემოსავალიც ძალიან დაიკლებს და საეჭვოა, რომ შემდეგში ისევ აიწიოს, რადგან, თუ რუსეთის ცხოვრება შესამჩნევად შეიცვალა, ხალხი სულიერად და გონებრივად აიწევს, განვითარდება და ლოთობასაც ხელს შეუშვებს.

აქამდის რუსეთის ბიუროკრატია ფულს სესხულობდა და იმას კი არ კითხულობდა, შეუძლიან თუ არა ხალხს ამ ფულის გადახდა. რუსეთის ფინანსები თუ შემდეგშიაც ამ ბიუროკრატიას შერჩა ხელში, ყველა ადვილად გამოიცნობს და გაითვალისწინებს, თუ რა შედეგი მოჰყვება ამგვარ გამაკოტრებელ პოლიტიკას...

ა.

---

*) მკითხველებმა იციან, რომ ამიერ-კავკასიის სომხებმა შეიმუშავეს პეტიცია, სადაც ითხოვენ ოსმალეთიდან გადმოსულ სომხებისათვის ნადელების მიცემას. კარგი იქნებოდა ვიცოდეთ, რამდენად თანაუგრძნობს ამ პეტიციის მოთხოვნას ბ-ნი გ. თუმანოვი, რომელიც ზემოდ მოყვანილ წერილში შიდა-გუბერნიებიდან რუსების გადმოსახლების წინააღმდეგია იმ მოსაზრებით, რომ მიწა ადგილობრივ მკვიდრთათვის არ არის საკმაოდ. რედ.

*) „სინ ოტეჩესტვა" №№ 15 და 17.

მასალა ქართლის გლეხთა მდგომარეობის გამოსარკვევად.

გუშინ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა სამი გლეხი, სოფ. ფლევში მცხოვრები, და გვთხოვეს მათი გაჭირვებული მდგომარეობა გაზეთში აღგვეწერა. ისინი სჩივიან ადგილობრივ მემამულეზე, რომ ძალიან გვავიწროვებსო. გლეხების ლაპარაკს შემთხვევით დაესწრნენ, ჩვენს რედაქციაში მომუშავეთა გარდა, ბ-ნნი სამსონ ფირცხალავა, სიმონ რევ. ვახახიშვილი და პეტრე სურგულაძე. ჩვენ სიტყვა-სიტყვით დავწერეთ გლეხების საჩივარი, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ. გლეხებმა გვიამბეს:

სოფელ ფლევიდან გახლავართ. ჩვენი სოფლის მამულები თავ. როსიკო ამირაჯიბსა და ს. თარხნიშვილს ეკუთვნის. ჩვენ ამ თავადებს ღალა გვემართა. ზოგი მიგვეცით, ზოგიც დარჩა, რადგან მისაცემი არა გვებადა-რა. კვირას, 24 აპრილს, ჩვენს სოფელში თავ. როსიკო ამირაჯიბის მოურავი—გაბო აბაშიძე, ერთი სტრაჟნიკი და სამი კაზაკი ამოვიდნენ და გვითხრეს: სოფ. აბისში უნდა წამოხვიდეთ, ბოქაული—ღევან უზნაძე და როსიკო ამირაჯიბი გიბარებენო. ჩვენ ამ დროს არ გვეცალა, მიცვალებული გვყავდა, კუბოს ვუმზადებდით და ამიტომ ვუთხარით: ახლა არა გვცალიან და, როცა მოვიცლით, გიახლებითო. მიცვალებულის ქალმაც ეს გაუმეორა. რაკი დავხედეთ, რომ ძალაზე იდგნენ, წასვლაზე დავთანხმდით და ვთხოვეთ, ორიოდე წუთი გვაცადეთ და ფეხთ ჩავიცვამთ-თქო, მაგრამ არ დაგვაცადეს, დაგვირეკეს ხუთი კაცი და აბისში წაგვიყვანეს. იქ ასამდე კაზაკი შემოგვარტყეს და გვემუქრებოდნენ, ადგილიდან არ დაიძრათ, თორემ ყველას დაგხოცავთო. როსიკო ამირაჯიბმა და ბოქაულმა მუქარა დაგვიწყეს, თუ ღალა არ მოგვიციათ, ყველას ამოგჟლიტავთო. ჩვენ მოვახსენეთ, მობრძანდით და, თუ იპოვოთ რამე, ინებეთ. როსიკო ამირაჯიბმა ჩვენი სიტყვა მუქარად მიიღო და ბოქაულს დაუჩურჩულა. შემდეგ თოფები დაგვიმიზნეს და გამოგვიცხადეს, თუ ახლავე არ მიგვიციათ, აქვე დაგხოცავთო. ჩვენ შეგვეშინდა და ვთხოვეთ, მაგას ნუ გვიზამთ, გაგვიშვით, თითოს თითო ცალი ხარი ვყავს, გავყიდით და მოგართმევთ. ორი საათი მიწაზე ვისხედით, ადგომის გვეშინოდა, სიკვდილს გვიქადდნენ. მერე გამოგვიცხადეს, ორი კაცი თავდებად დასტოვეთ, თქვენ კი წადით, სადაც გინდათ იშოვეთ ღალის ფული და, როცა მოგვიტანთ, ამათაც გაგანთავისუფლებთო. სამნი წამოვედით. გზაში წყალი გვქონდა გასავლელი. უკან როსიკო ამირაჯიბი და იმის მოურავი ცხენებით გამოგვედევნენ და სწორედ იმ დროს დაგვეწივნენ, როცა წყალმდის წყალში შევედით. ორივენი იარაღში ისხდნენ. ცხენები წყალში შემორეკეს, გზა გადაგვიღობეს და მათრახებით ცემა დაგვიწყეს, განა თუ არა ღალის ფასი ახლავე უნდა მოგვცეთო. ვეხვეწებოდით, ვემუდარებოდით, მაგრამ ჩვენი მუდარი არ შეიწყნარა და ზურგზე ტყავი აგვაძრო. როსიკო ამირაჯიბმა ერთ ჩვენგანს ცხენი მიაგდო და წყალში წააქცია. ჩვენ იმ კაცს მივეშველეთ და ავაყენეთ. როსიკომ და მოურავმა ცემით რომ გული მოიჯერეს, გაგვაფრთხილეს, ჩქარა ჩამოიტანეთ ფული, თორემ დაგხოცავთო, და თავი დაგვანებეს. ჩვენც წამოვედით. თავდებად დარჩენილი ორი კაცი გომში წაიყვანეს. გზა-და-გზა სცემდნენ და ემუქრებოდნენ, ი რადაც კომიტეტი და აგიტატორები, მოგვეცით, თორემ ისეთ დღეს დაგაყენებთ, რომ სულ თავ-ბედი იწყევლოთო. ძალზე დალახული გლეხები გომში ჩაიყვანეს და თავდები მოითხოვეს. გომში ორი ღვთისნიერი კაცი გამოჩნდა,—მიხა გოგატაშვილი და სანდრო მამაცაშვილი, რომელთაც როსიკო ამირაჯიბს ჩვენი ვალი გადაუხადეს და ჩვენი ამხანაგები გამოაშვებინეს. ჯერ-ჯერობით ამით გათავდა ჩვენი საქმე. მერე რა იქნება, არ ვიცით.

საზოგადოდ, როსიკო ამირაჯიბი გვაწუხებს. დღიურზე ორ კოდ ღალას გვახდევინებს. თუ ლობიო და მწვანილი დავთესეთ, ამაშიაც ღალა უნდა გადავიხადოთ. თითო კომლს ერთ საბალახის ქათამს გვართმევს, ერთსაც ღალისას, მიზეზად ამბობს, თქვენი ქათმები ბაღებს სწიწკნიან და მაგის ბაჟი უნდა მომცეთო. გარდა ამისა თითო კომლი მოვალეა შობასა და აღდგომას თითო მანათი და თითო ქათამი მიართვას. თითო კომლი ვალდებულია წელიწადში ექვსი დღე მიუხმაროს. გლეხს ათი უღელიც რომ ჰყავდეს და გრიაცა, სულ ერთია, თვითონ, მთელი თავის საქონლით 6 დღე უნდა იმუშაოს ამირაჯიბის სასარგებლოდ. ახლა გვეუბნევა, რაკი სამუშაო არა მაქვს, თითო კომლმა 15 მანათი უნდა მომცესო. თუ ვერ ვიშოვეთ და დაუგვიანეთ, გვცემენ. ღალის გადახდის დროს ძალიან გვწვალებს. ძნა, სადაც გვეტყვის, იქ უნდა წავიღოთ. თუ საჭირო იქნება, ძნა 40 ვერსის მანძილზე უნდა წავიღოთ. ასე გვიწერია პირობის ქაღალდში, იქვე სოფლის მახლობლად ტყე გვაქვს. შემოდგომაზე ქალები შინდს ჰკრეფენ ხოლმე. ამაზედაც ღალა უნდა გადავიხადოთ. ერთმა გლეხმა შინდის ღალა არ მისცა, ქალი არა მყავს და არც შინდი მომიკრეფიაო. ამის გულისთვის ეს გლეხი როსიკომ და მოურავმა გააწვინეს და სცემეს. კანონიერ საბალახეს ხომ ვიხდით, მაგრამ ამირაჯიბმა არც ეს იკმარა და სოფელს ზედ-მეტს 30 მანათს გვახდევინებს. სამი ღორი რომ ჰყავდეს ვისმე, ერთი ბატონმა უნდა წაიყვანოს. თუ ცხენი ჰყავს ვისმე, მოვალეა, როცა ბატონს დასჭირდება ცხენიანად, გორსა და სურამში წავიდეს. საზოგადოდ უბაჟოდ არც არაფერი გვევავს და არც არაფერი გვაქვს. ასე და ამ გვარად ვიყვლიფებით და ვხედავთ, რომ ამ ყოფაში მარტო ჩვენა ვართ. ჩვენი მეზობლებიც გაჭირვებულნი არიან, მაგრამ სად ჩვენა და სად სხვები? როსიკო ამირაჯიბი ყოველთვის გვაშინებს და გვემუქრება, თუ ჭიუტობას დაიწყებთ, მოგკლავთო, თოფის სროლაც კარგი ვიცი და ხანჯლის ხმარებაცაო.

ახლა არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ. ვიცით, რომ ზედ-მეტი ღალა (ცხენი, ქათამი, ღორი, შინდი, 15 მანათი, შეშა და სხ.) არ უნდა გადავიხადოთ, მოვალე არა ვართ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჯერ ერთი, არა გვაქვს, არა გვებადება-რა და მეორე, რომ გვქონდეს კიდეც, ამირაჯიბი ძალზე დგას, სხვები მოჰყავს, გვცემენ და გვართმევს. არ ვიცით, რა ვქნათ და როგორ მოვიქცეთ, გავუძალიანდეთ—არა გამოვა-რა, არაფერი შეგვეძლიან, არ გავუძალიანდეთ და ასეთ დღეში ვართ. ერთი სიტყვით, ჩვენს სოფელში აღარ გვეცხოვრება, უნდა გადავიკარგოთ სადმე, მეტი გზა არ არის.

* * *

წლიური კრება კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებისა

ოთხშაბათს, 27 აპრილს, კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ექიმ ფიშერის თავმჯდომარეობით შესდგა წლიური კრება ამ საზოგადოების წევრთა. კრებას გარეშე პირნიც დაესწრნენ. თავმჯდომარემ შემდეგი სიტყვით მიმართა კრებას: „კრების დაწყების წინ მსურს მოკლედ მოვიხსენიო, თუ რა გააკეთა ჩვენმა სამკურნალო საზოგადოებამ ამ ერთი წლის განმავლობაში, იმ საზოგადოებამ, რომელსაც დღეს 41 წელიწადი უსრულდება თავის დაარსებიდან. გარდა სამეცნიერო გამოკვლევებისა, რომელსაც ეს საზოგადოება მედიცინის მთავარ დარგებში ახდენდა, ჩვენი „საზოგადოება“ თავის ტრადიციებსაც არა ღალატობდა და მომავლის იმედით ხალხთან მტკიცე კავშირს არა სწყვეტდა. ამ მხრივ თქვენი ყურადღება მსურს შემდეგ ორ გარემოებას მივაქციო. პირველად ისა, რომ სპარსეთიდან შემოტანილ ხოლერას სამკურნალო საზოგადოება ფხიზლად დახვდა და შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყო დღევანდელ რეჟიმით გონება-დახშულ უვიც ხალხს; სწორე წარმოდგენა ჰქონდა, როგორც ამ სენზე, ისე პირველ მისაღებ ზომებზე. გამოსცა ფურცლები და ბროშიურები ადგილობრივ ენებზე და ექიმთა განსაკუთრებულ კომისიის მოქმედებით შესაფერი სხივი მოჰფინა ამ საქმეს. ამ კომისიას თავისდა სასახელოდ ქალაქის თვითმმართველობამ დიდი დახმარება აღმოუჩინა.

მეორე გარემოება ისაა, რომ რუსეთში დაწყებული მძიმე ხანა, წინამორბედი, ჩემის აზრით, ბრწყინვალე მომავლისა, კავკასიაშიაც გადმოვიდა. საზოგადო ცხოვრება დიდი ხნის ძილისაგან იღვიძებს; ჩნდებიან ახალი საჭიროებანი, ახალი მოთხოვნილებანი და, რასაკვირველია, ახალი საკითხებიც. ჩვენი სამკურნალო საზოგადოებაც არ ჩამორჩა ამ მოთხოვნილებებს. სულ ამ მოკლე ხანში საჯაროდ წარმოსთქვა თავისი გადაჭრილი აზრი არსებულ რეჟიმის შესაცვლელად. გადაჭრილი მსჯავრი დასდო საერთოდ ჩვენს კავკასიაში სანიტარულ-სამკურნალო საქმის მოუწყობლობას და უგვანოდ დაყენებას; გაჰკიცხა ის მოუწყობლობა, რომელიც ორგანიულ მიზეზთა გამოა გამოწვეული. დასასრულ, ვისურვოთ, რომ ჩვენის საზოგადოების მოქმედება მარტო ამ თავის აზრის გამოთქმას არ დასჯერდეს და ღირსეულადაც განახორციელოს იგი“.

ბ-ნ ფიშერის სიტყვა დაჯილდოვებულ იქნა განუწყვეტელ ტაშის კვრით. შემდეგ ამისა საზოგადოების მდივანმა ექიმმა ა. მუხარინსკიმ წაიკითხა წლიური ანგარიში საზოგადოებისა. როგორც ამ ანგარიშიდან სჩანს, გასულ წლის განმავლობაში საზოგადოებას სულ 17 სხდომა ჰქონია. ერთი ადმინისტრატიული, ერთი წლიური და დანარჩენი მორიგი. ამ სხდომებზე 24 სამეცნიერო მოხსენება წაუკითხავს 19 ექიმს.

საზოგადოებას საპატიო წევრი ჰყოლია 41, ნამდვილი 218, კორესპონდენტი 45, თანამშრომელი 25 და გულშემატკივარი 4. საზოგადოებას თანხა 24 აპრილისათვის ჰქონია 7424 მან. და 10 კ.; წლის განმავლობაში შემოსულა საწევრო ფული 1380 მან., მთავრობის სუბსიდია 2300, თანხის პროცენტი 245 მან. 93 კ., სხვა შემოსავალი 52 მანათი—სულ შემოსულა 3877 მან. 84 კაპ. დაუხარჯავს 4475 მან. 84 კ. პირველ აპრილს 1905 წლისა დარჩენია საზოგადოებას 6826 მან. 4 კაპ., პოპულიარულ ბროშურების გამოსაცემად დახარჯვია 250 მ. 51 კ. ამ საქმეზე სხვადასხვა დაწესებულებისაგან სუბსიდიად შემოსულია 750 მან. პოპულიარულ ბროშურების გასყიდვიდან დარჩენია 2105 მან. 95 კ. სულ 2855 მ. 95 კ. იმავე დროს დახარჯულა 1223 მან. 20 კ. ამ რიგად, დღეს კასაში სამკურნალო საზოგადოებას აქვს თავისუფალი თანხა 6826 მან. 4 კაპ. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ ექიმმა ნ. დ. ხატისოვმა წაიკითხა თავისი მოხსენება შემდეგი სათაურით: „თანამედროვე პირობანი დაქორწინებისა მედიცინის აზრით“ (современныя условія вступленія въ бракъ съ врачебной точки зрѣнія). ექიმმა ხატისოვმა დაასურათა ის გარემოება, რომ ახალგაზრდანი დაავადებულნი სხვადასხვა ვენერიულ სენით ებიდებიან ცოლქმრულ უღელს და უბედურდებიან თვითონ და ქალსაც აუბედურებენო.

დასასრულ კრებამ უავგუსტოესს მფარველს ამ საზოგადოებისას, დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოება დღესასწაულობს რა თავის 41 წლის არსებობას, უმდაბლესად უცხადებს თქვენს იმპერატორებით უმაღლესობას ღრმა პატივისცემას იმ ყურადღებისათვის, რომელსაც ეს საზოგადოება არ იყო მოკლებული“.

კრება ღამის 10½ საათზე გათავდა.

კორესპონდენცია

ერევანი. ვინ არ იცის, რა მძიმე ტანჯვის უღელს ეწევიან საზოგადოდ რესტორან-სასტუმროთა მოსამსახურენი, განსაკუთრებით ერევანში, სადაც ყოველნაირ იმედს მოკლებულნი ნამდვილ ყმათ გაუხდიათ აქაურ სისხლის მწოვ-წურბელა ადებს და, მიუხედავად ჯამაგირის მიუცემლობისა, შეუბრალებლად დღე და ღამ სტანჯავენ, შრომით სულს ხდიან, რომ მათის მომეტებული ოფლის ღვრით, თვითონ ჯიბეში ოქროები მეტი ჩაიჩხრიალონ. ბევრმა ერევნელ მოსამსახურეთაგანმა ნათლად გაითვალისწინა ადების ასეთი უმართებლობა, რომლის გამო, 20 აპრილს, ერთხმად გაიფიცნენ ყველა ზემოდ მოხსენებული მოსამსახურეები. მოილაპარაკეს, იმ დღესვე შეამუშავეს სრული კანონიერი მოთხოვნილება და წარუდგინეს პატრონებს. აი, თვით მოთხოვნილებათა სია, რომელიც სიტყვა-სიტყვით გადმოგვთარგმნე: 1) დაწესდეს 10 საათის სამუშაო დღე, მხოლოდ ერთის საათის გამორიცხვით სადილისათვის; 2) მოისპოს დაწესებული გირაო ადგილზე დადგომის დროს; 3) მოისპოს შეგროვება („კრუჟკი“-ს ფული), რომელსაც ვიხდით ჩვენ ადების სასარგებლოდ ხელსახოცების გასარეცხად; 4) მოსამსახურემ არ უნდა გადაიხადოს სტუმრის ვალი, აგრეთვე არც სტუმრის-მიერ გატეხილი ჭურჭლის ფასი; 5) ჭურჭლის გამრეცხს ფული პატრონმა უნდა აძლიოს და არა მოსამსახურემ; 6) დაწესდეს სულ უმცირესი ჯამაგირი (მინიმუმი)—ხელზე მოსამსახურეს თვეში 10 მანათი, მზარეულს უნდა მოემატოს დღევანდელ ჯამაგირზე 20%, ახალგაზდა მოსამსახურეებს უნდა ეძლეოდეს 15 წლისაზე მეტს არა ნაკლებ 5 მან., 17 წლისაზე მეტს არა ნაკლებ 8 მანათისა თვეში; 7) 4 მოსამსახურეს მიეცეს რიგიანი ცალკე ერთი ოთახი და ორი თავი საწოლი; 8) თუ მოსამსახურეს უნდა დასტოვოს სამსახური, მოვალეა ერთი კვირის წინ წასვლამდე შეატყობინოს პატრონს, ხოლო, თუ პატრონმა,—უნდა აცნობოს მოსამსახურეს ორი კვირით წინ ანგარიშის მიცემამდე; 9) სწრაფად მოსამსახურის დათხოვნა შეიძლება სამხანაგო სასამართლოს დადგენილებით, შემდგარი მოსამსახურეთა ორი წარმომადგენელისა და ერთი პატრონისაგან; 10) თუ მოსამსახურე გახდა ავად, პატრონი მოვალეა აღმოუჩინოს საექიმო ყოველნაირი შემწეობა და მასთან შეინახოს ჯამაგირი ავადმყოფს არა მეტი ერთის თვისა; 11) იმ შემთხვევაში, თუ დააწესოს პატრონმა განსაკუთრებული ფორმა, მაშინ ფორმის ტანისამოსი მოვალეა თვითონ პატრონმა შეუკეროს ხელზე მოსამსახურეს; 12) მოსამსახურეს ზრდილობიანად უნდა მოექცნენ; 13) მოსამსახურე თავისუფალი უნდა იყოს: 1 მაისს, ახალ-წელიწადს და აღდგომის პირველ დღეს; 14) მოსამსახურე არაა ვალდებული წამოიღოს ბაზრიდან სანოვაგე 20 გირვანქაზე მეტი; 15) თუ ყველა ეს მოთხოვნილებები არ იქმნა დაკმაყოფილებული, მაშინ ჩვენ, მოსამსახურენი, იძულებული ვიქნებით, გავიფიცოთ, გაფიცვის დროს ჯამაგირის მიღებით, და 16) პატრონები მოვალე არიან დაურიგონ ყველა მოსამსახურეებს თითო წიგნაკი, სადაც უნდა იყოს ჩაწერილი ყველა ეს მოთხოვნილება, პატრონის ხელის მოწერით. ამ მოთხოვნილების საპასუხო დრო დაუნიშნეს 22 აპრილი, დილის 10 საათი, და, თუ პატრონები ამ დანიშნულ დროზე არ დააკმაყოფილებდნენ, მოსამსახურეები მზადყოფილნი იყვნენ სამსახურისათვის თავი დაენებებინათ. მართალია, ასე მოხდა, რადგანაც ამ მოთხოვნილებას ადებმა არავითარი სერიოზი მნიშვნელობა არ მისცეს; ბევრმა სრულიად უარიც განაცხადეს მოსამსახურეთა სიაში აღნიშნულ მოთხოვნილებაზე, რომლის შემდეგ ყველა მოსამსახურეებმა თითქმის 120 კაცმა, ერთხმად მუშაობას თავი მიანებეს, გავიდნენ ქალაქის განაპირა მინდორზე და საერთო თათბირი გამართეს თავიანთ საქმის გასაუმჯობესებლად. აქ ამოირჩიეს ოთხი წარმომადგენელი, რომლებმაც უნდა ილაპარაკონ მათი საქმის შესახებ, ვისთანაც რიგი არს. ამასთან კრებამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ კრუჟოკ-კლუბთა და სასტუმროს პატრონებს გამოეცხადოს სრული გულის წყრომა და საყვედური, მხოლოდ განსაკუთრებით კრუჟოკის პატრონს, რადგანაც ის შეუბრალებლად სწოვს ჩვენს სისხლს და ათასნაირს სამარცხვინო ხრიკებით გვტანჯავსო. ამასთან დაადგინეს, რომ ღარიბ ამხანაგებს მიეცეს სახარჯო ფული, სანამ გაფიცვა არ გათავდებოდეს.

ერთმა ორატორმა სთქვა: ჩვენი პირადობა მიწასთან გასწორებულია, ვინ არ გინდა,—აგა, მუშტარი და პოლიცია ცხვირში გვცემს და ჩვენ კი ისეთ პირობებში ჩაგვაყენეს ჩვენმა ადებმა, რომ ხმის ამოღება არ შეგვიძლიანო. კრუჟოკის პატრონი, მიღების დროს გვპირდება დიდ ჯამაგირს, მაგრამ დაპირებულის მესამედსაც ვერ მიიღებ და, თუ ღმერთი შეგეწია და მიიღე, იმასაც უჭკვლად ათ-ათ შაურობით ხელში გამოგაჭმევსო. ბევრი მაგალითი ყოფილა, რომ ჯამაგირის გარდა ჩვენი ჯიბიდამ აღოს 15—20 მანათამდეო. ამას გამოესარჩლა ერთი მზარეულთაგანი: მართალია, მართალი, რასაც ამბობს, აი, მე ვიყავი მასთან მზარეულად კრუჟოკში და მთელ ჩემს ყოფნაში ჯამაგირის მესამედიც რომ მიმეღოს, არ მახსოვსო; როცა ჯამაგირის სათხოვნელად მივიდოდი, უშვერის სიტყვებით გინებას დამიწყებდა და მასთან მიზეზად რასმეს მომახვევდა—შენ ეს გააფუჭე, შენ ამ დროს სუფი ცოტა ან მეტი გააკეთეო, და ვინ იცის, რა ადამის დროის მიზეზს არ მომიგონიდა, და ამნაირის მიზეზით შეიძლება დიდის სხვეწნისა და თხოვნის შემდეგ ნაცვლად თუმანისა 1 მანათი მოეცა, რომლის გამო მასთან სამსახურს თავი გავანებეო. შემდეგ მოსამსახურეებმა ჩამოსთვალეს ასი და ათასი გულ-შემზარავი და ადების უსინდისობის დამამტკიცებელი ფაქტები.

მეორე დღეს, 23 აპრილს, ამათ შეუერთდნენ ოჯახთა მოსამსახურენი და ყველა მეკარენიც. ზოგმა ამათგანმა ბაზარში დაჰყარა კალათები და შინ ცალიერები მივიდნენ და ზოგმა კიდევ სანოვაგე მიიტანა, მაგრამ მუშაობას თავი დაანება. პოლიცია ყველა გაფიცულ მოსამსახურეთ სდევნიდა, ემუქრებოდა, რომ, თუ თქვენ თქვენს საქმეს არ დაუბრუნდებით, მაშინ ჩვენ იძულებულნი ვიქნებით იარაღი ვიხმაროთ თქვენზე, რომლის სრული ბრძანება გვაქვს მოცემულიო. მაგრამ პოლიციის ასეთმა მუქარამ ვერავინ შეაშინა, პირიქით, უფრო გამხნევდა გაფიცულთა მოძრაობა. აქაური პოლიციელები დიდ ფაცა-ფუცში ჩავარდნენ და ვნახოთ, შემდეგში რა იქნება.

მარტვილელი.

—

სამეგრელო. სამშაბათს, 17 აპრილს, შეიკრიბა ს. ზეჩეფისა, წყემისა, ნოსირისა, გეჯეთისა, რეკისა, თეკლათისა და სხვა სოფლების გლეხკაცობა—თავიანთ პირ-ვარამზე მოსალაპარაკებლად. წინად განზრახულ გეგმის თანახმად, ყველას ერთად უნდა მოეყარა თავი ნოსირის პლატფორმასთან. გლეხკაცობის ერთმა ნაწილმა, რომელსაც ზეჩეფისა, ძველ-სენაკისა და წყემის მცხოვრებნი შეადგენდნენ, როცა ს. წყემში შედგა ფეხი, წითელი დროშა აფრიალა, 6000 კაცი, მწყობრად, „მარსელიეზას“ მღერით, ნოსირთან ტრიალ მინდორზე გამოვიდა... მოხუცები, ამ სანახაობას რომ უყურებდნენ ხმა-მაღლა, გულადად ჰყვიროდნენ: „გაგიმარჯოთ, ძმებო!.. ძირს უსამართლობა“... ხალხმა მოილაპარაკა თავის პირ-ვარამზე და დროებით დაიშალა..

ციხეები ტყვეებით ივსება. საეჭვო პირებს ჰგზავნიან ციხეში... ამას წინად დეპეშით გადმოცემულ ამბავს, რომ აქ 70 კაცი დაატყვევეს, უნდა დაემატოს, რომ ტყვეებში, როგორც ამტკიცებენ—ორი მღვდელი და უმეტესობა სოფლის მასწავლებლებიაო. ამას გარდა, აქეთკენ დღითი-დღე ახალი ამბები მოდის კერძო პირების დატუსაღებაზე. ამას წინად ახალ-სენაკში დააპატიმრეს ბ-ნი ბიქტორ მოსიძე, რომელიც რამდენისამე დღის შემდეგ ტფილისში, მეტეხის ციხეში, გაგზავნეს. 19 აპრილს დააპატიმრეს თეკლათის საზოგადოების მცხოვრებნი ნიკო ეჯიბია და მათე ფილია... ამას წინად ჩვენ ვწერდით, რომ სენაკის მცხოვრებნი დააჯარიმესო. რეკის მცხოვრებთ 150 მანათი უნდა გადახდეთ იმ დანაშაულისათვის, რომ სენაკში ეგზარხოსის-მიერ ეკკლესიის კურთხევას არ დაესწრნენ.

ათავრენი მ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ჩვენ, დაბა ხაშურში მცხოვრები ქართველი საზოგადოება, დიდი სიამოვნებით ვუერთებთ ჩვენს ხმას ყველა იმ ქართველებს, რომელთაც „ცნობის ფურცელში“ მოთავსებულ წერილებით თავისი უკმაყოფილება და ზიზღი გამოუცხადეს „მათრახის მომხრე და ზარბაზნების გრიალის მონატრე“ თავად-აზნაურებს: ვლადიმერ კოსტას ძეს აღშიბაიას, თ. ვ. ავაქიძეს და სხვა იმათ მომხრეთ. ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა და პატივისცემა იმათ, ვინც დღეს გლეხთა მოძრაობის საქმეში სულ სხვას ქადაგებენ, კეთილ-სინიდისიერ გზაზე აყენებენ მათ და პატიოსანის განზრახვითა და მიზნით მოქმედებენ.

ნიკოლოზ სიხარულიძე, სტეფანე ნოზაძე, სიმონ მანჯავიძე, მიხეილ ჯიმშერაშვილი, გიორგი ვეზირიშვილი, ნიკო თევდორაშვილი, იოსებ ძნელაძე, ილარიონ თაყაიშვილი, კალისტრატე რევია, მიხეილ ანდღულაძე, ივანე ომიანიძე, დიმიტრი ვეზირიშვილი, ნ. ცინცაძე, ი. მეფარიშვილი, რაფიელ კეკელიძე, დავით ძნელაძე, იოსებ კვალიაშვილი, ალექსანდრე ლამაური, თავ. დავით ლორთქიფანიძე, კონსტანტინე ჩარუევი, პროკოფი კახიანი, გიორგი ბუღაძე, ვასილ ხოზბერაშვილი.

* * *

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

28 აპრილი.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობა შორეულ აღმოსავლეთიდან 27 აპრილს არ მოსულა.

პეტერბურგი. დეპეშა გენერალ ლინევიჩისა: 24 აპრილს ჩვენს მოწინავე ჯარზე, პოდისუიხესა და შიხაუზეს შუა, მტერის მხედრობამ იერიში მიიტანა, ხოლო უკუ-ცემულ იქმნა. 25 აპრილს კიდევ ცდილობდა ჩრთილოეთისკენ გამოედევნა ჩვენი ჯარი, მაგრამ ამაოდ. 26 აპრილს ჩვენი ცხენოსანთა რაზმი შახეძისკენ წავიდა, სადაც იაპონელები დგანან. ზარბაზნის სროლითა და დასავლეთიდან გარშემოვლით ჩვენმა აიძულეს მტერი სინიაპუსკენ, დაეწია, იქაც არ მოასვენეს და სოფელ მოდინამდე დააწვინეს.

პარიჟი. „ტან“-ში დაბეჭდილია იაპონიის მთავრობის ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია საფრანგეთის მიერ რვაჯერ ნეიტრალიტეტის დარღვევა.

პარიჟი. დელკასესა და რუვიეს გუშინ თათბირი ჰქონდათ შორეულ-აღმოსავლეთის ამბების გამო და ჰფიქრობდნენ, გამოაცხადონ თუ არა „ყვითელი წიგნი“, რომელშიაც საბუთებით მტკიცდება, რომ საფრანგეთი ყოველთვის ცდილობდა ნეიტრალიტეტი არ დაერღვია.

ჰონკონგი. ფორმოზასა და პესკადრის კუნძულებზე ორი წლის სამყოფი სურსათი, სამხედრო მასალა და ძლიერი არტილერიაა. ჯარიც არის 15 ათას კაცამდე. თუ რუსები დაეცნენ, ქუდზე კაცი გამოვა ჯარში, ვისაც-კი იარაღის ხმარება შეუძლიან. კილუნგსა და პესკადრების კუნძულებ შუა იაპონელებს 35 გემი უყენიათ.

ტოკიო. დააპატიმრეს ფრანგი ბუგუენი და მისი გერი სტრენჟი, ინგლისის ქვეშევრდომნი, რომელთაც ჯაშუშობა ჰბრალდებათ.

პეტერბურგი. ქალაქებში: მელიტოპოლ, ვილნო, გროდნო და სმორგონში გამოცხადებულია გაძლიერებულ დაცვის დებულება.

კალიში. ლენჩიცკის მაზრის მემამულეებმა დაადგინეს—გააუმჯობესონ მოსამსახურე გლეხთა მდგომარეობა, მოუმატონ ხელფასი, უზრუნველ-ჰყონ სიბერის დროს და მათი შვილები სკოლაში ატარონ.

განჯა. ჯევანშირის მაზრის მემამულეთა და გლეხთა შორის მეტად გამწვავებული აგრარიული უთანხმოება შეთანხმებით გათავდა, პოლიციის დაუხმარებლად.—სექტანტებმა-დუხობორებმა ბრძანება სარწმუნოებრივ თავისუფლებისა აღტაცებით მიიღეს.

ჩიტა. ბურიატების კრებამ საჭიროდ დაინახა რეფორმების შემოღება თვითმართველობის სახით და საკუთარის სასამართლოებით.

კიევი. ჟიტომირში, არეულობის დროს, როგორც ამბობენ, 13 ებრაელი მოუკლავთ და 5 რუსი, მათ შორის ორი სტუდენტი კიევის უნივერსიტეტისა და ერთიც ხარკოვის პოლიტეხნიკუმისა.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 26 აპრილი 1905 წ.

სამ-თვიან ვექსილის კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	94,25
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,85
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	5½—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	84⅝ ნის. გაყ.
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სააღ.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	377 წვ. გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	299¼ „
5% გირ. ფურც. სახ. სააღ.-მამ. ბანკ.	268½ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გრავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. სააღ.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	215¾
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	9975 ნის. გაყ.

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნიშვილი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი



მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევისა
ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.
იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.
(0—6—5)

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“
სურათებით
გამოდის მცირე-წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის
თვეში სამი წიგნი: ორი მცირე-წლოვანთათვის და ერთი—მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.
წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.
ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე 3 მან., ნახევრის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კაპ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კ.
რედაქცია იმყოფება ალექსანდრის ქუჩ., № 5. სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურისასი.
ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამომც. საზოგადოების“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.
ფოსტის ადრესი.
Тифлисъ, редакція журнала "НАКАДУЛИ".

Дозволено цензурою, Тифлисъ, 28 апрѣля 1905 г.

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.